საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, ცოგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ორშაბათი, 7 თებერვალი. 2022 წ. №21 (9359) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დავით აღმაშენებლის დღე

მახვილი მესიისა

26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) საქართველოს დიდი პოლიტიკური მოღვაწის წმიდა მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073-1125 წწ.) მოხსენიების დღეა. XII საუკუნე ესაა პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, გამთლიანდა და უდიდეს წარმატებას მიაღწია. ეს პერიოდი „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული. საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო და სხვ.) შედეგად საქართველო დაწინაურდა და ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა;

წოდება „აღმაშენებელი“ (ქართველი მეფეები სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით არიან ცნობილნი: დიდი, თავდადებული, ბრწყინვალე, კისკასი, კეკელა, რეგვენი, მცირე, ავი და სხვა), საქართველოს ისტორიაში ერთადერთს – დავით IV -ს ხვდა. „...მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამან განავსო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“... (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ, 1973, გვ. 163).

ამგვარად, XI საუკუნის 80-იან წლების ბოლოს საქართველოს მოევლინა პიროვნება (მეფე), რომელმაც შეძლო დაქსაქსული მოსახლეობის მობილიზება, მომხდური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე დაყენება. ამას მოჰყვა დიდი გარდაქმნები, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღორძინება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მაღალი განათლების მქონე მეფის მიერ გელათის აკადემიის (უნივერსიტეტის) დაარსებას (1106 წ.). ამ საქმეთა შემოქმედი დავით IV თანამედროვეებმა და შთამომავლობამ აღმაშენებლად აღიარა და წმინდანად შერაცხა; მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (8 თებერვალი) დაწესდა.

მეფემ გეგმაზომიერად გაატარა ღონისძიებები ქვეყნის ცენტრალიზებისა და გაძლიერებისათვის: 1110 წ. აიღო სამშვილდე, 1115 წ. – რუსთავი, 1117 წ. – გიში, 1118 წ. – ციხე-ქალაქი ლორე. 1118-19 წლებში ჩამოასახლა ყივჩაღები და ლაშქარი გაზარდა.

1121 წლის 12 აგვისტოს უდიდეს გამარჯვებას („ძლევაი საკვირველი“) მიაღწია დიდგორთან – დაამარცხა მუსლიმთა ძლიერი კოალიციური ლაშქარი.

საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო: „მეორესა წელსა (1122 წ. – რ. მ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 326).

დიდგორის ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მიწები, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები საქართველოს საზღვრებში მოექცა. ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთშემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“.

წმინდა მეფის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შუა საუკუნეების კულტურული, ესთეტიკური, იდეოლოგიური მრწამსის, ამასთან, ქრისტიანული საკაცობრიო სევდის გამომხატველი ძეგლია. დავით აღმაშენებლის („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“) მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები და საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სახელმწიფოდ აქცია.

<u>აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებას შევახსენო, რომ 2023 წელს სრულდება 950 წელი დიდი ქართველი პოლიტიკოსის, „მესიის მახვილის“, მეფეთ-მეფე წმიდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან. ღრმად მწამს, რომ ამ თარიღს ქართული საზოგადოება, ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები, ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულად აღნიშნავენ, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის იუბილე ფართოდ აღინიშნოს მთელს მსოფლიოში.</u>

როინ მეტრეველი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

გამოვაცხადოთ 2023 წელი დავით აღმაშენებლის წლად!

საზარბაზნე ხორცი

საქართველოს დამაზიანებელი პროექტები უკრაინიდან!

3

რა დარღვევები აღმოაჩინეს ეროვნულ მუზეუმში?!

11

ყურადღება!

ვინაიდან კოვიდპანდემიამ ისევ რთული ვითარება შექმნა რედაქციაში, ჩვენი ყოველდღიური გაზეთი, მომდევნო ერთი თვის განმავლობაში გამოვა კვირაში სამჯერ. ბოდიშს გიხდით მცირედი შეფერხებისთვის.

საღ იქნება საქართველო, თუ დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და უკრაინა ახალ ალიანსს შექმნიან?

საღ იქნება საქართველო, თუკი დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და უკრაინა ახალი ალიანსის შექმნას მალე გამოაცხადებენ? რა სახის კავშირი იქნება და რა შედეგს მისცემს ჩვენს ძვეყანას, თუკი ამ „სამთა კავშირში“ გაერთიანების სურვილს გამოთქვამს? ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კომენტარი არ გაკეთებულა.

თუმცა მოულოდნელად საქართველოს პოლონეთის პრეზიდენტი **ანდჯეი დუდა** ეწვია. გაჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, პოლონეთის პრეზიდენტმა საქართველოში სწორედ ამ ალიანსში გაწევრიანების შეთავაზება ჩამოიტანა და ჩვენი ხელისუფლებისგან პასუხი აინტერესებდა. მართალია, ამაზე ოფიციალური განცხადებები არ გაკეთებულა, მაგრამ ქართველი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ დუდას ვიზიტის მიზანი სწორედ ალიანსში გაწევრიანების შეთავაზება იყო.

BBC-ის ინფორმაციით დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და უკრაინა შეთანხმების დეტალების საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე მუშაობენ. თავდაპირველად ალიანსის გამოცხადება 31 იანვარს, უკრაინაში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **ლიზ თრასის** ვიზიტის დროს იგეგმებოდა, თუმცა სიტუაციის ცვლილების გამო, როგორც ჩანს, თარიღი იცვლება.

ალიანსის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს რუსული საფრთხისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ევროპის მომავალი უსაფრთხოებისთვის ერთობლივი მუშაობა. ახალ ალიანსზე ინფორმაცია საჯაროდ პირველად ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლიზ თრასმა გააჟღერა, 21 იანვარს, როდესაც ის ავსტრალიას ეწვია.

აღსანიშნავია, რომ გასულ დღეებში ბრიტანეთი უკრაინას იარაღს სწორედ პოლონეთის გავლით აწვდიდა, რასაც ბრიტანელმა ანალიტიკოსებმა „საჰაერო ხიდი“ უწოდეს.

კონფლიქტოლოგი **ზურაბ ბენდიანიშვილი** ამბობს, რომ საქართველოს ამ „სამთა კავშირში“ შესვლა არ სურს, ამიტომაც რთულია ძალით შეყვანა. ბენდიანიშვილი მიიჩნევს, რომ თუ ჩვენმა ქვეყანამ ამის სურვილი არ გამოთქვა და გარკვეული ნაბიჯები არ გადადგა, სხვაგვარად ვერავინ ვერაფერს ვერ დაავალდებულებს.

> **„სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა რეგიონული პროცესებიდან განრიდებულია, რაც ძალიან ცუდია, რადგანაც მომავალში ისევ საქართველოს დააზიანებს. ამ „სამთა კავშირის“ შექმნა პირველ რიგში უკრაინის უსაფრთხოებიდან გამომდინარე გადაწყდა. სამწუხაროდ, ეს სამხედრო ბლოკი არ არის და უკრაინას სამხედრო ძალით ეს ქვეყნები ვერ დაეხმარებიან. თუმცა ესაა დეკლარირებული მხარდაჭერა, რაც ძალიან ბევრი მიმართულებით მნიშვნელოვანია.**
>
> **ამით უკრაინა გრძნობს, რომ მარტო არ არის. სამწუხაროდ 2008 წელს დასავლეთმა არაფერი გააკეთა, რომ საქართველო-რუსეთის ომი თავიდან არიდებულიყო. ახლა ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, უფრო დაზღვევა უნდათ და ქმედით ნაბიჯებს დგამენ. ეს ალიანსი დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერის გამოხატულებაა, რომელშიც ჩვენც რომ მოვიაზრებოდეთ და ვჩანდეთ, ძალიან კარგი იქნებოდა“,** — ამბობს ბენდიანიშვილი.

მისივე თქმით, სწორედ ამ ალიანსის შექმნას პოლონეთის პრეზიდენტის ვიზიტი დაემთხვა, რომელიც საქართველოში მოულოდნელად ჩამოვიდა. კონფლიქტოლოგი დარწმუნებულია, რომ პოლონეთი საქართველოში ამბის და ჩვენი ხელისუფლების განწყობის მოსასინჯად ჩამოვიდა.

> **„პოლონეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში ამ რეგიონულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. საქართველოსთვის ეს ალიანსი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი ახლა უკრაინაზე გადის. ამიტომ ამ პროცესში ჩვენი მონაწილეობა საქართველოს დაცვას უფრო ეფექტურს გახდიდა. არადა რუსეთიდან საქართველოს მიმართ საფრთხე ძალიან რეალურია. მგონია, რომ პოლონეთის პრეზიდენტი ამბის ჩამოსატანად გამოგზავნეს“.**

ჩვენი რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** სწორედ იმიტომ დაახვედრეს პოლონეთის პრეზიდენტს, რომ ის რეალურად ვერაფერს წყვეტს. ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ, უბრალოდ, მასპინძლის მოვალეობა მოიხადა. პოლონეთის პრეზიდენტს საქართველოს პოზიცია აინტერესებდა ალიანსთან დაკავშირებით და ჩვენს საქმის კურსში ჩასაყენებლად ჩამოვიდა.

კონფლიქტოლოგი **გიორგი კანაშვილი** კი მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით ამ ფორმატზე საუბარი რთულია, რადგან რაიმე კონტურები გამოკვეთილი არ არის. კანაშვილი ფიქრობს, რომ ახლა ჩვენი პასიურობა ძალიან ცუდად ჩანს.

> **„მართალია, ამ კავშირის შესახებ მხოლოდ ზედაპირული ინფორმაცია არსებობს და არაფერი კონკრეტული არ ვიცით, მაგრამ სჯობს ჩვენმა ქვეყანამ დიპლომატიური კავშირების გამოყენებით უფრო მეტი იაქტიუროს,გადაამოწმოს რა კავშირზეა საუბარი და ინტერესი გამოთქვას. ის, რაც დღეს უკრაინაში შესაძლოა მოხდეს, ჩვენ ეს უკვე 2008 წელს გამოვიარეთ, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ყველა კავშირს თუ ალიანსს უნდა იყენებდეს, რომ ჩვენი პრობლემები საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურად განიხილებოდეს. მხარდაჭერას ჩვენ უნდა ვეძებდეთ, ისინი კი არ უნდა გვეხვეწებოდნენ. კი ბატონო, ლოგიკას არ არის ის აზრი მოკლებული, რომ პოლონეთის პრეზიდენტი სწორედ ამ „სამთა კავშირის“ გამო ჩამოვიდა და ჩვენი პოზიცია აინტერესებდა“,** — ამბობს კანაშვილი for.ge-სთან.

მისივე თქმით, საქართველოს უკრაინაში ტანკების და შეიარაღების გაგზავნას არავინ სთხოვს, რადგანაც რეალურ საფრთხეს ატარებს. კონფლიქტოლოგი ამბობს, რომ ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმას, რასაც ბრიტანეთი და ბალტიისპირეთი აკეთებენ. თუმცა საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ვიზიტი და მხარდაჭერის იქ გამოხატვა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. ასეთი მომენტები ყველას ამახსოვრდება და ახლა სადაც უკრაინის მხარდაჭერას გამოხატავენ, საქართველო იქვე უნდა ახსენონ. სხვაგვარად არავინ არ იცის, მსოფლიოში მოვლენები როგორ განვითარდება.

> **„ჩვენი ხელსიუფლება რასაც აკეთებს, გასაგებია. უბრალოდ, ამაში რაღაცა რაციონალური მარცვალი არის. თუმცა არგაღიზიანების პოლიტიკასა და სრულ სიჩუმეს შორის განსხვავებაა. არ მგონია უკრაინელები ჩვენგან რაიმე განსაკუთრებულ ამბავს ითხოვდნენ. რუსეთს მიზეზი არ სჭირდება იმისთვის, რომ ან საქართველოში ან კიდევ უკრაინაში შეიჭრას. არც ერთი ქვეყანა არც უკრაინაში შეჰყავდათ და არც იარაღს აწვდიდა ვინმე, მაგრამ ამის მიუხედავად, პუტინს რაც სურს იმას აკეთებს. კი ბატონო, მეც არ ვარ მომხრე, რომ მტერი ...**

ლიკა ბერიკაშვილი

ჩვენ საერთო ღირებულებები გვაერთიანებს

კელი დეგნანი საქართველო-ამერიკის ურთიერთობასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე

საქართველო და ამერიკა დიპლომატიური ურთიერთობის 30-ე წლისთავს მარტში აღნიშნავენ. როგორ ვითარდებოდა ეს ურთიერთობა და სად არის ის დღეს? ამ თემაზე საქართველოში შეერთებული შტატების ელჩს, კელი დეგნანს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ესაუბრა. ინტერვიუდან გაიგებთ, რას ფიქრობს ელჩი დეგნანი ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმაზე, პოლარიზაციაზე, რუსეთიდან შავი ზღვის რეგიონის მიმართ მომდინარე საფრთხეზე, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაზე, საქართველოს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებასა და აშშ-თან საviზო რეჟიმის გამარტივებაზე.

ქვემოთ გთავაზობთ ამ ინტერვიუს მოკლე ვარიანტს.

— ძალბატონო კელი, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის დრო რომ გამონახეთ. წელს საქართველო და შეერთებული შტატები დიპლომატიური ურთიერთობის 30 წელს აღნიშნავენ. თქვენი გადმოსახედიდან, როგორ დაიწყო ეს პარტნიორობა, როგორ განვითარდა და სად ვართ დღეს?

— დიდი მადლობა, ია. მიხარია თქვენი ნახვა და ჩემთვის დიდი სიამოვნებაა თქვენთან ყოფნა. ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში ეს დიდი წელია. ცოტა ხნის წინ, დავიწყეთ დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე იუბილეს აღნიშვნა. საზეიმო ღონისძიებები გაიმართება არა მხოლოდ აქ, თბილისში, არამედ ჩავალთ ყველა რეგიონში.

— თქვენ ახლა თქვით, რომ შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, დემოკრატიული, ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, რომელიც ამერიკისგან ძალიან შორს და ძალიან რთულ რეგიონში მდებარეობს. ამასთან, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ისეთი სტაბილური და სწორხაზოვანი არ არის, როგორიც შეიძლება იყოს. რატომ აყურადღებებს შეერთებულ შტატებს ეს ქვეყანა ამდენი ხანი?

— ალბათ, იმიტომ, რომ ბევრი საერთო გვაქვს. დავიწყებდი ყველაზე ფუნდამენტურით — ჩვენი საერთო ღირებულებებით. ორივე ქვეყანას ღრმად სწამს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის. და, რა თქმა უნდა, ორივე ძალიან მრავალფეროვანი კულტურა ვართ.

შეერთებული შტატები ასევე აცნობიერებს იმ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც საქართველოს კავკასიაში აქვს. ხედვა, რომელიც საქართველოს აქვს, იყოს დამაკავშირებელი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ერთადერთი მარშრუტია, რომელიც რუსეთზე ან ირანზე არ გადის.

რეგიონში დემოკრატიული ქვეყნის არსებობა, რომელიც სტაბილური და პროგნოზირებადია, კომერციული ტვირთების ცენტრალური აზიიდან ევროპაში გადასაზიდად, ძალიან მნიშვნელოვანია.

ასევე, იმ როლის გამოც, რომელსაც საქართველო თამაშობს შავი ზღვის უსაფრთხოებაში. ამ მხრივ საქართველოს როლი იზრდება, რადგან იზრდება ქვეყნის შესაძლებლობებიც, იქნება ეს სანაპირო დაცვა, ჯარი თუ საბაჟო. ეს ხშირად ჩვენი თანამშრომლობის შედეგია. ამით ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ შავ ზღვაში კომერციული გემები და ზოგადად მიმოსვლა არ ფერხდება.

იხ. 8 გვ.

საზარბაზნე ხორცი

ბოლო წლებში უკრაინა წარმოადგენდა საქართველოს პრობლემების მართვის ცენტრს და ბაგას ჩვენი ქვეყნის დამაზიანებელი პროექტების შემუშავებისთვის

აშკარაა, რომ **გარკვეული გავლენიანი ძალები ცდილობენ, საქართველოში პოლიტიკურ რყევებს, დესტრუქციას, დესტაბილიზაციას მუდმივი სახე ჰქონდეს.** მათთვის, ვინც პოლიტიკურ პროცესებს შორიდან აკვირდება, ვაკონკრეტებ, რასაკვირველია, **„გავლენიან ძალებში“ ნაცსექტასა და მის სხვადასხვა ჯურის სატელიტებს არ ვგულისხმობ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლები არიან იმ დიდ პოლიტიკურ თამაშებში,** რომლის მიმდინარე ფაზაც, ჩვენი ქვეყნისთვის, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო. ხშირად ისე ყოფილა, „მეორეხარისხოვნებს“ ინსტრუმენტის, ანუ უსულო საგნის ფუნქციაც შეუსრულებიათ. დაახლოებით **ეს დატვირთვა აქვს დღეს ოდესღაც „პრეზიდენტის“ როლზე გამწესებულ მისეილ სააკაშვილს.**

დიდ პოლიტიკურ თამაშებში მინიმუმ ორი მხარე მაინც არის ხოლმე ჩართული. **თანამედროვე მსოფლიოში თამაშის მიზანს შამათის ჩასმა არ წარმოადგენს, რადგან ამის მიღწევა, უბრალოდ, შეუძლებელია. პოლიტიკური ჭადრაკის შინაარსი, მთლიანად, გავლენებისთვის ბრძოლას გულისხმობს და მუდმივი და უწყვეტი პროცესია — დაუსრულებელი ცივი ომი.** „ჭადრაკის დაფის“ გარკვეულ სეგმენტებში ცხელი კერების წარმოქმნაც თამაშის ნაწილია, მთავარი ისაა, რომ ამ დროს **ძირითადი მოთამაშეების კონტაქტი მთლიანად უნდა გამოირიცხებოდეს, რადგან დიდი საფრთხის შემცველია — გამანადგურებელი საფრთხის.**

ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი და ნაწილობრივ ევროკავშირი არიან ის მთავარი სუბიექტები, ვინც, ხან პირდაპირი, ხანაც ირიბი ჩართულობით, განსაზღვრავენ მოვლენათა განვითარებას დედამიწის ყველა წერტილში. ძირითადი მოთამაშეების უშუალო კონტაქტის გამორიცხვა მოითხოვს მოზომილ მანევრებს. კიდევ გავიმეორებ, აქ „შეცდომები“ გამორიცხულია.

საქართველოს როლი მისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობითაა განპირობებული. იმაზე ტვინის ჭყლეტა, გაგვიმართლა თუ არ გაგვიმართლა, განგებამ რუსეთის მეზობლობა რომ გვარგუნა, დროის ფუჭი კარგვაა. ამ ყველაფერს, როგორც მოცემულობას უნდა ვუყურებდეთ, ცივი გონებით. რა თქმა უნდა, **ემოციებიც მნიშვნელოვანია, ოღონდ მხოლოდ ტაქტიკური მანევრებისთვის,** მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოქმედების გეგმას, სქემატურად, მარტივი სახე აქვს: **ჩვენ უნდა ვაიძულოთ (კარგი გაგებით) ამერიკის შეერთებული შტატები, რომ მან აიძულოს (პირდაპირი გაგებით) რუსეთი, არ შეაფერხოს ჩვენი, კონსტიტუციით გამყარებული არჩევანის (საგარეო კურსი მაქვს მხედველობაში) რეალობად ქცევა.** ამ პრობლემის გადაწყვეტაში უკრაინა ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემის გამწვავების შემთხვევაში ავტომატურად უნდა ირთვებოდეს პირდაპირი მოქმედების რეჟიმი, როგორც ამას ცხელი თავები მოგვიწოდებენ.

მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად ამერიკის შეერთებული შტატების არჩევა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, **ერთადერთი სწორი არჩევანია.** სწორი არჩევანი არ გულისხმობს იმას, რომ არჩეულს ბრმად მიანდო შენი ბედი. **ყველა გეგმას აქვს თავისი მინიმუმი და მაქსიმუმი. ყველა პროცესში მუდმივი აქტიური ჩართულობა არის იმის პირობა, რომ ყოველთვის მომენტის შესაფერის მაქსიმუმზე გახვიდე.** სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ მოითხოვდე, აკრიტიკებდე, უკმაყოფილებას გამოხატავდე... არავინ გეტყვის, შენთვის არავის დაუძალებია ჩემი ქოლგის ქვეშ დგომა და ნუ შემაწუხეო, რადგან პოლიტიკაში არჩევანის გაკეთება არასდროს არ არის ცალმხრივი ინტერესის აქტი, ის ყოველთვის ორმხრივი პასუხისმგებლობით დატვირთულ კავშირს გულისხმობს.

საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ **საქართველოსთვის ნატოს კარის გახსნას ხილულ მომავალში არ უნდა ველოდეთ, რადგან ასეთია რუსეთის კატეგორიული პოზიცია.** შაბლონური ტექსტები, რომ კიდევ რაღაც-რაღაცეები გვაქვს გასაკეთებელი ალიანსის სტანდარტებთან მისაახლოვებლად, ჰაერზე გასროლილი სიტყვებია და მთლიანად საჯარო მოხმარებისთვისაა გამიზნული. მსგავსი რიტორიკა დიდი ხანია აკადემიურ პასუხს აღარ იმსახურებს. „მეტი ნატო საქართველოში“ ხომ საერთოდ ქილიკის საგნადაა ქცეული. ქართულ-ხალხურად ამას თვალში ნაცრის შეყრა ჰქვია, თბილისურ ჟარგონზე — „რიჟა ბაზარი“. ზემოთაც ვთქვი, **ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მესვეურების ძალისხმევა იქით არის მიმართული, რომ თან რუსეთის მოთხოვნები დააკმაყოფილონ, თანაც ეს ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდეს.** აი, სწორედ აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული...

ვიდრე ძაღლის თავის ამოთხრას შევუდგები, წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრებების გასამაგრებლად, შეგახსენებთ, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მაღალი პასუხისმგებლობის პირებს, ღიად არაერთხელ განუცხადებიათ, რომ **საქართველო იმაზე გაცილებით წინ არის წასული, ვიდრე ეს სამეული იყო ნატოში გაწევრიანების მომენტისთვის.** (შეხსენებისთვის, იმის გამეორებაც აუცილებლად მიმაჩნია, რომ ჩემთვის, **სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობისგან თავისუფალი მოქალაქისთვის, ყველაფრისთვის სახელის დარქმევა, მოქალაქეობრივი ვალის ჩემეული გაგებით მიღებული გადაწყვეტილებაა.** ხელისუფლება თავს ამის უფლებას ვერ მისცემს. არათანასწორთა ურთიერთობას თავისი წესები აქვს. საქართველოს პირველი პოლიტიკური პირები, პირდაპირი ტექსტით, ვერასდროს ეტყვიან ამერიკელ კოლეგებს, ნუ გვედემაგოგებითო, საქმეს მიაყენებენ ზიანს. **საზოგადოების მხრიდან სიმართლის სააშკარაოზე გამოტანით, მჯერა, ჩვენ მიერ არჩეულ ხელისუფლებას ზურგს გავუმაგრებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაში** და ჩვენი აქტიურობა სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს.

ქართველ საზოგადოებაში, ორი ათწლეულია, ინტენსიურად განიხილება თემა, **ლიეტუვა-ლატვია-ესტონეთთან შედარებით საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიმართ სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებების გამოხატვა, როგორც რუსეთის, ისე აშშ-ის მხრიდან, ხომ არ არის ამ ორ ზესახელმწიფოს შორის რაიმე პოლიტიკური შეთანხმების პირობებით ნაკარნახევი?** ამასთან დაკავშირებით ტელეეთერებშიც არაერთხელ უსაუბრიათ. ეს თუ მართლაც ასეა, ამას დიდ სენსაციას, პირადად მე, ვერ ვუწოდებდი. ზესახელმწიფოების ინტერესები ზესახელმწიფოების ინტერესებია, ეს არის და ეს. კაცმა რომ თქვას, შეთანხმება არსებობს თუ არ არსებობს, მნიშვნელობა არცა აქვს, მთავარია, რომ რეალობაა ასეთი. თუ მართლა არსებობს, ეს მხოლოდ მორალური საკითხია — **არ არის სამართლიანი და სასიამოვნო, როცა შენს ზურგს უკან შენი ბედით თამაშობენ... უბრალოდ, ნდობის პრობლემა დგება.**

ჩვენი მუდმივი ფიქრის საგანი ის უნდა იყოს, როგორ შევაცვლევინოთ რეალობა, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, ჩვენ მიერ სწორად გათვლილი ნაბიჯებით. **ნაბიჯების სწორად გათვლას კი ყველა მოცემულობის სწორი შეფასება, ვითარების სწორი ანალიზი სჭირდება.**

ცნობილია, რომ ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის და მეორე მხრივ, საქართველოს ურთიერთობა ვალდებულებითი ხასიათისაა, რაც გარკვეული პირობების შესრულებას გულისხმობს: ჩვენი პარტნიორები ჩვენგან მოითხოვენ დემოკრატიის განმტკიცების მიმართულებით კომპლექსური რეფორმების გატარებას, ანუ ესაა ჩვენი ვალდებულება, ხოლო თავის მხრივ, იღებენ ვალდებულებას, ამ საქმეში ყოველმხრივი დახმარება გაგვიწიონ. ამ ურთიერთობის შედეგი იქნება საქართველოს გაწევრება ევროკავშირსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. სწორედ აქ შემოდის ზემოხსენებული „ძაღლის თავის“ თემა...

თუკი საქართველო თავის ყველა ვალდებულებას პირნათლად შეასრულებს, პარტნიორები იძულებული (უკაცრავად პასუხია) იქნებიან, მოცემული პირობები შეასრულონ, თუ რა თქმა უნდა, თავისი ავტორიტეტი ძვირად ულირთ (ფაქტია, რომ ძვირად ულირთ). ამ შემთხვევაში ისინი ავტომატურად აღმოჩნდებიან რუსეთის ინტერესებთან მწვავე დაპირისპირებაში. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ამ ეტაპზე, არც აშშ და არც NATO და ევროკავშირი ამისთვის მზად არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ურჩევნიათ ჩვენი მიზეზით გადაიწიოს პროცესი, ვიდრე ვინმემ ეჭვი შეიტანოს ვალდებულებებისა და პრინციპებისადმი მათ ერთგულებაში.

შექმნილ ვითარებაში სულ სხვა იძულება მოვიდა მოქმედებაში ე.წ. მარჯვენა და მარცხენა ხელის პრინციპი: **პარტნიორები ერთი ხელით გვეხმარებიან, ხოლო მეორე ხელით ცდილობენ შეგვიქმნან ხელოვნური ბარიერები.** საქართველოს თემატიკაში ჩართულ ყველა სუბიექტს კარგად მოეხსენება, რომ დემოკრატიის განვითარების გზაზე მთავარი დაბრკოლება მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული „ნაციონალური მოძრაობაა“, თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებებით, დიდი ფულითა და გამართული ინფრასტრუქტურით. ამა წლის 7 იანვარს გამოქვეყნებულ, აშშ-ის ორი ელჩისადმი მიძღვნილ წერილში ვსვამდი კითხვას (თითოეული ქართველის გულიდან ამოსული კითხვაა) — **„რას უნდა ემსახურებოდეს ამ მავნებლური, ქვეყნის დამაზიანებელი სუბიექტის ესოდენი მოფრთხილება და უფრო მეტიც, მის სასარგებლოდ ბალანსის შეცვლის მცდელობები?“** და იქვე, თავადვე ვპასუხობდი — **„იმას, რომ მუდამ ჰქონდეთ ჩავლებული ყურში ხელი.“**

იხ. 7 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №20

ვლადიმერ ბოჟაძე: ყოჩაღ გვარამია, მასე გააგრძელე!..

„ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ტელევიზია აგრძელებს სიცრუის და დეზინფორმაციის ტირაჟირებას, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ცდილობს მთელ მსოფლიოში ასიათასობით მოზარდისა და ახალგაზრდისთვის სამაგალითო სპორტსმენის და პოლიტიკოსის, კახა კალაძის იმიჯის შელახვას, — წერს სოციალურ ქსელში თბილისის საკრებულოს წევრი ვლადიმერ ბოჟაძე.

„კაცს, რომელსაც 2012 წლიდან ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში, არც ერთ თანამდებობაზე ყოფნის დროს 1 თეთრი აუღია ხელფასის სახით, მეტიც მხოლოდ 2021 წელს 330 000 ლარი ქველმოქმედებაში დახარჯა, აბრალებენ, რომ 2012 წლის მერე გამდიდრდაო. ყოჩაღ გვარამია, მასე გააგრძელე, ყველა ტყუილი და სიბინძურე ისევ თქვენ დაგაზიანებთ, კახა კალაძეს კი მხოლოდ გააძლიერებს“...

„რაც უნდა მტანჯოთ, მაწამოთ...“

ბრძანენ გმირები და არიან მხდალები. სიმამაცე და ლაჩრობა ერთმანეთთან შეუთავსებელი ადამიანური თვისებებია. ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა 800 წელია გვათბობს და გვზრდის, ფარცხისთან კახაბერ ყორღანაშვილის ღალატი და სიმხდალე კი ოთხსაუკუნენახევარია სირცხვილით გვწვავს. თუ მხდალი ხარ, გმირობას ნუ დაიჩემებ, თორემ აუცილებლად დადგება შენი თავისმომჭრელი გამოცდის ჟამი.

უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ, რომლის წინააღმდეგაც სამშობლოს ღალატისა და ტერორიზმის ბრლდებებია წაყენებული და დასაგლეჯად არის გახაზირებული, მართლაც გმირული, კაცური ნაბიჯი გადადგა – საშიშად აღერღილ სამშობლოში დაბრუნდა. თან წინასწარ დააანონსა თავისი თვითმფრინავის რეისი და დრო. მართლაც ჩავიდა დათქმულ ჟამს და აეროპორტში დახვედრილ მხარდამჭერებთან ერთად პირდაპირ მიადგა სასამართლოს, რომელსაც მისთვის აღკვეთის ღონისძიების საკითხი უნდა განეხილა.

ამ სარისკო, კაცური ნაბიჯით პოროშენკო უდავოდ იწვევს სიმპათიას.

ყოველთვის სხვას როგორ უნდა შევნატროდეთ. შეადარეთ ჩვენი ბედოვლათი მესამე პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება უკრაინელი კოლეგისას, მაქსიმალურად სამარცხვინო გზით: არაჟნით სავსე ტრაილერში მაჩვივით შემძვრალი და ყოველ გაფაჩუნებაზე გულაბაგუნებული, შემდეგ კი რიგითი საზღვრის დამრღვევივით ქეჩოში ჩავლება და პოლიციაში კინწისკვრით წაწიალება.

არადა რამდენად პოროშენკოსებური, მართლაც პრეზიდენტის საკადრისი ნაბიჯი იქნებოდა სააკაშვილის მიერ თავიდან განცხადებული: აღებული მაქვს თვითმფრინავის ბილეთი და დედასთან ერთად ამა და ამ დღეს გამოვფრინდები კიევიდანო. ხომ წარმოგიდგენიათ მისი აღმატებული ჩამობრძანება. რამდენი აღფრთოვანებული მიშისტი დახვდებოდა აეროპორტში!..

მაგრამ გმირობა მხოლოდ ამის გასამხელად ეყო მამაც პრეზიდენტს. გადათქვა დანაქადები ამ „უსაშველოდ გმირმა და ბრძენმა“ კაცმა და განუბაჟებელი არაჟნის სახელით შევიდა ისტორიაში. ახლა მისი გაქნილი ადვოკატების მთელი მეცადინეობა იმისკენ არის მიმართული, რომ მას როგორმე „არაადამიანური მოპყრობით“ დაზარალებულის სტატუსი მოუპოვონ.

არაფერი გამოვა მიშას თავგანწირული, უპერსპექტივო ცდისგან, რომ ქვეყნის მოსახლეობას „უახლოეს საბოლოო მიზნად“ დაუსახოს „ყველა ტრიბუნის გამოყენებით მასობრივი პროტესტის დაორგანიზება“ ექსპრეზიდენტის გასათავისუფლებლად, თბილისსა და სხვა ქალაქებში „ყველა უსამართლობის დაბლოკვა“ და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების მიღწევა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ხელისუფლების გარდუვალად შეცვლას...

მიშას მიზანი მკაფიო და განჭვრეტადია, ოღონდ ასევე, უპერსპექტივო და აღუსრულებელი. მისი აბსურდული იდეებისთვის აღარავის სცხელა, არც უკრაინაშია პოროშენკოს გმირობა საყოველთაო მხარდაჭერით გასხივოსნებული. სხვა განსაცდელი უდგას ერთსაც და მეორესაც. დღეს მსოფლიო საზოგადოება დასავლეთისა და რუსეთის პირისპირ დგომის რეალობის წინაშეა. რუსეთმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ ნატომ დეკლარირებულად თქვას უარი აღმოსავლეთით გაფართოებაზე, რაც გულისხმობს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე უარის თქმას (ნატოში უკრაინისა და საქართველოს გაწევრების შესახებ). რუსეთის განცხადებას უკრაინის საზღვართან რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილიზება მოჰყვა (ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ მზადდება რუსეთის პროვოკაცია დონბასში, რასაც შესაძლოა, მასობრივი სამხედრო მოქმედებები მოჰყვესო).

რუსეთის ამ აგრესიულ ქმედებათა საპასუხოდ დასავლეთი აცხადებს, უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებიან ნატოს წევრებიო. მაგრამ მანამდე უკრაინის კრიზისია დასაძლევი. ღმერთმა არ ქნას, კრემლმა თავისი ჩანაფიქრი აღასრულოს, თორემ შემდეგ უთუოდ ჩვენი რიგი დადგება.

ამდენად, საძართველოს დღეს სხვა თავის ტკივილი აძვს. ის დროა მიუა დაჯდეს და თავისი ცოლები და შვილები კარგად გადათვალოს, მათი კანონიერება და უკანონობა დაადგინოს, თორემ პრეზიდენტობამდე, პრეზიდენტობისას და პრეზიდენტობის შემდგომაც მის ნაბურჯგნ და ძუძუმოძმულ ძალთა შორის კიდევ უსვად მოიძებნებიან ცოლობის მაძიებელნიც და უკვე იმედგადაწურულნიც.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქნებ როდესმე ესეც მოჰკითხონ!.. აკი მოეკითხა სამცოლიანობა ერთიანი საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს, მეტეხის ტაძრის ამშენებელს დემეტრე II თავდადებულს. ქართულმა ეკლესიამ გამოჩენილი გმირობის, ერისთვის თავგანწირვისთვის იგი წმინდანად კი შერაცხა, მაგრამ ქრისტიან კაცს მრავალცოლიანობა არ აპატია, რაც ნათლად შემორჩა ისტორიულ ანალებს ამ ჭაბუკი მეფის ღვაწლის ხოტბასთან ერთად.

* * *

ამ დღეებში ნაცმოძრაობამ მიიღო „ისტორიული“ გადაწყვეტილება ექვსი უშინაარსო თვის შემდეგ პარლამენტისთვის ბლოკადის მოხსნის და ამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წიაღში დაბრუნების შესახებ. მთავარი საჭირბოროტო საკითხი, რისთვისაც ეს პოლიტიკური ორგანიზაცია დაუბრუნდა მშობლიურ პარლამენტს, საგანგებო კომისიის შექმნის სურვილია, რომელიც შეისწავლის მიხეილ სააკაშვილისთვის პატიმრობისას განხორციელებული „წამების, არაადამიანური მოპყრობის“ კაციჭამიურ ფაქტებს.

აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თვით წამებულმა პრეზიდენტმა აღწერა და დაუტოვა შთამომავლობას. ამბავი ხდება გორის ჰოსპიტალში: „დედაჩემის თვალწინ, 21 დეკემბერს ბადრაგმა სცადა ჩემი ფანჯრის რაფიდან ძალით ჩამოყვანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს საკუთარი ხელით დახატული და თავის დროზე ჩემი შემოღებული დროშა დავუქნიე. ვერ ჩამომიყვანეს ჩემი წინააღმდეგობის გამო. ეს ადამიანები ჩემს თვალში ქართველები არ არიან, საოკუპაციო რეჟიმის მსახურები არიან“.

მიშას წამების ამ ფაქტმა დამბურძგლა, როგორ ესადაგება იგი ხალხის მეხსიერებაში ჩაკირულ ვერაგი მტრისთვის პირში მიხლილ მგზნებარე სიტყვებს: „რაც უნდა მტანჯოთ, მაწამოთ, მაინც დავრჩები ქართველი“. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში ადამიანს ასეთი რამ აკადრო, თუნდაც ის რეგვნულად არღვევდეს შინაგანაწესს და ნახევარი საქართველო მტრად მიაჩნდეს. არადა, წარმოიდგინეთ, რამდენ ასეთ ფაქტს შეკრებს კომისია, თუკი შექმნა ეღირსა.

აქ ძალაუნებურად მოგინდება, ცნობარებს გადახედო და გაარკვიო, ბოლოს და ბოლოს, რა ეშმაკია ეს „წამება“ იურიდიულ ენაზე. ავიღოთ კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (ნაწილი I, მუხლი 1. „ტერმინი წამება ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია... იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან ან მათი თანამდევია“).

აგაშენა ღმერთმა, განმარტებულია ნათლად და მარტივად. წამება არის, როცა პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი და ტანჯვაო. აქ არ ითვლება ისტერიკიანი ნიკა გვარამიას ან მთელ სამყაროზე გაბოროტებული ეკა ხერხეულიძის მიერ ციხიდან გამოტანილი ჭორიკანა სენსაციები, მესამე პრეზიდენტი დედოფალ შუშანიკივით სტანჯეს და აწამესო. ამის შემდეგ, მდაბიური ენით რომ ვთქვათ, ძაღლი და ღორი ამ წამების ხსენებაზე მკერდში მუშტს იბრაგუნებს.

ნიკა და ეკა წამებაში უთუოდ იმ მომენტსაც გულისხმობდნენ, რაც მთელმა მსოფლიომ იხილა ტელეეკრანებით, როცა მე-12 საპყრობილეში არსებულ სამკურნალო დაწესებულებაში რუსთავის ციხიდან გადაყვანილ, უაზროდ გაჯიუტებულ ყოფილ მთავარსარდალს მონადირებული ტახივით ოთხივე ფეხში ჩაავლეს ხელი და ჭაპანწყვეტით აიყვანეს სართულებზე. აი, როგორ აწამესო! მაგრამ აქ ხომ უფრო ის იყო წამების მაჩვენებელი, ბადრაგი რომ ფეხზე ვეღარ იდგა და სულს ძლივსღა ითქვამდა ამ გაფიჟვინებული კაცის ციმციმ ტარების შემდეგ. წამება ის იქნებოდა, ზღარბზე ან აშიშხინებულ ერბოკვერცხიან ტაფაზე რომ დაესვათ. არადა, პარკეტზე დაუშვეს ნარნარად, დიდი სიფრთხილით...

* * *

ერთი ნამდვილად ყურადღებამისაქცევი ამბავიც მოხდა იმ კვირაში. პარლამენტმა დიდი რქენების, ღრენების, კბენებისა და უკან თითის მიცემების შემდეგ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. და ახლა ოპოზიცია, რომელმაც კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვა, ენაგადმოგდებული ლანძღავს რეზოლუციასაც და მის ავტორ მმართველ პარტიასაც.

ნაციონალთა სატელიტმა „ლელომ“ კი სულ მოიქაჩლა თავი, კიევში დელეგაცია აფრინა უკრაინისთვის თავისი გამორჩეული თანადგომის დასტურად. მარტო ამ პარტიის ახალდანიშნული პოლიტიკური მდივანი სალომე სამადაშვილი ღირს ნებისმიერ რეზოლუციად!

და კიდევ: „მწვანე პასპორტი“ გაუქმდა, თუმცაღა დღევანდელი და ხვალინდელი ომიკრონი სასტიკად გვიტევს!..

ალეკო ასლანიშვილი

თბილისი ევროპარლამენტის დოკუმენტებიდან ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ამოღებას ითხოვს

საძართველოს ხელისუფლება ევროპარლამენტის დოკუმენტებიდან ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ამოღებას ითხოვს.

„სამხრეთ ოსეთი“ – ასეთ წარმონაქმნს საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს. როგორ შეიძლება, რომ ამოვიღოთ ეს ტერმინი საერთოდ თქვენი ოფიციალური დოკუმენტებიდან. მითუმეტეს, ეს არის სტალინისტური ტერმინი და არ არის სასიამოვნო, როდესაც ევროკავშირი ან თუნდაც ნებისმიერი ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო, სწორედ, ამ სტალინისდროინდელ დასახელებას იყენებს“, – ამ სიტყვებით მიმართა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ საქართველოს შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელს სვენ მიქსერს.

კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, ზოგადად, დასავლეთი ებრძვის სტალინისტურ გამოვლინებებს და ამის საწინააღმდეგოდ, ყველა მის დოკუმენტში იყენებს ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“:

„ეს სტალინისტური ტერმინია და შეიქმნა 1922 წელს. ამიტომ, ჩემი უმორჩილესი თხოვნა იქნება ვიფიქროთ ამ საკითხზე და თუ რაიმე ჩვენგან არის საჭირო, ოფიციალური მომართვა, ამას ჩვენ გავაკეთებთ“.

თავის მხრივ სვენ მიქსერი აცხადებს, რომ სამომავლოდ საქართველოსთან დაკავშირებული ევროპული დოკუმენტების შექმნისას ტერმინთა ფორმულირების საკითხს გაითვალისწინებენ.

„მე ჩავინიშნე თქვენი შეშფოთება ფორმულირებებთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და თანმიმდევრულია. ჩვენ ეს უნდა ჩავინიშნოთ და გავითვალისწინოთ, როდესაც მომავალში შევიმუშავებთ ევროპულ დოკუმენტებს“.

პარლამენტში ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე საქართველოს საკითხზე ევროპარლამენტის მომხსენებელი სვენ მიქსერი სიტყვით გამოვიდა, რის შემდეგაც სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.



მათემატიკის კლასიკოსი, ქართული მეცნიერების სიამაყე

რევაზ გამყრელიძე – 95

საქართველოს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, თანამედროეობის ერთ-ერთ უდიდეს მათემატიკოსს, მათემატიკის კლასიკოსს, აკადემიკოს რევაზ გამყრელიძეს 95 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსმა რევაზ გამყრელიძემ, თავის მასწავლებელთან, გენიალურ ლევ პონტრიაგინთან ერთად, მათემატიკის ახალ დარგს, მართვის ოპტიმალურ თეორიას დაუდო საფუძველი.

მართვის ოპტიმალური თეორია კლასიკური ვარიაციათა აღრიცხვის განზოგადება და მისი მეთოდების გაფართოებაა. ვარიაციათა აღრიცხვას საფუძვლად უდევს უმცირესი ქმედების პრინციპი, ოპტიმალური მართვის თეორიას კი პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპი, რომელიც თავიდან ჰიპოთეზის სახით იყო ჩამოყალიბებული. აკადემიკოსმა რ. გამყრელიძემ დაამტკიცა მაქსიმუმის პრინციპი მართვის წრფივი სისტემებისათვის და ააგო წრფივი სისტემების დასრულებული თეორია. რ. გამყრელიძის მიერ აგებულმა წრფივმა თეორიამ დიდი ხნით განსაზღვრა საგნის სახე, ხოლო მისი გამჭვირვალობა და სისრულე დღემდე ნიმუშად რჩება უფრო რთული, არაწრფივი სისტემების მკვლევარებისათვის, რაც უკვე კლასიკურადაა აღიარებული.

რ. გამყრელიძემ შემოიღო ოპტიმიზაციის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება — მცოცავი ოპტიმალური რეჟიმი, რომელიც მან საფუძვლად დაუდო პირველი რიგის აუცილებელი პირობების ზოგად აქსიომატურ თეორიას ოპტიმალური ამოცანებისათვის.

მონოგრაფიას, რომელშიც აისახა ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორია, იმ დროის უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა.

შრომათა ციკლი, რომელიც რევაზ გამყრელიძემ ალგებრულ გეომეტრიასა და ალგებრულ ტოპოლოგიაში შეასრულა, კლასიკურადაა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკის ამ დარგების კვლევის მეთოდებმა არსებითი ევოლუცია განიცადეს, რ.გამყრელიძის მიერ კომპლექსური ალგებრული მრავალსახეობის მახასიათებელი კლასების მრავალსახეობის პროექციული ინვარიანტების საშუალებით გამოსახვა და ამ კლასების ალგებრულობის დამტკიცება ისეთი საკითხია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის დარგის ვერც ერთი სპეციალისტი.

ცალკე თემაა რ. გამყრელიძის პედაგოგიური მოღვაწეობა ვ.მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც დღემდე გრძელდება ბატონი რეზოს მრავალრიცხოვანი მოსწავლეების მეშვეობით უკვე მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-სასწავლო ცენტრში, მათ შორის საქართველოშიც. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ხელმძღვანელობდა ცნობილ სემინარს მოსკოვის უნივერსიტეტში და ძნელად მოიძებნება მომდევნო პერიოდის გამორჩეული მათემატიკოსი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ამ სემინარის მონაწილე არ ყოფილიყო. სამეცნიერო სემინარი საბჭოთა კავშირის (ხოლო შემდეგ რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, რომელსაც რ. გამყრელიძე ლევ პონტრიაგინის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მისი სამეცნიერო მემკვიდრე ხელმძღვანელობდა, გამორჩეული იყო თავისი სტილით და აგრძელებდა სახელოვან ტრადიციებს. დარგის მსოფლიოს ყველა წამყვანი სპეციალისტი თავს ვალდებულად თვლიდა და ცდილობდა ახალი შედეგებით წარმდგარიყო დარგის ფუძემდებლის, რევაზ გამყრელიძის სემინარზე. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი მოხსენების ან ლექციისათვის, სპეციალისტი იქნება იგი თუ უბრალო მსმენელი, მოიხიბლებოდა ბატონი რეზოს თხრობის ელეგანტური და აზრის განვითარების ნათელი სტილით.

ოპტიმალური მართვის საფუძვლების ცნობილი სახელმძღვანელო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ორჯერ გამოსცა და რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რ.გამყრელიძის მიერ წაკითხული ლექციათა ციკლი, ხოლო შემდეგ კი ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა მთელ მსოფლიოში.

რ. გამყრელიძის ფართო ხედვა მეცნიერებისადმი კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი მათემატიკურ მეცნიერებათა გამოცემების მთავარ რედაქტორად მუშაობის პერიოდში. მრავალტომიანი გამოცემები მათემატიკის ყველა დარგში, რომელთა თემატიკას და ავტორებს რ.გამყრელიძე არჩევდა, საკმაოდ პოპულარული გახდა შინაარსის მრავალფეროვნებისა და გადმოცემული მასალის სისრულის გამო.

საქართველოში ოპტიმალური მართვის მათემატიკური თეორიის კვალიფიციური კადრების მომზადების სფეროში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რ.გამყრელიძის მიერ დაარსებულმა კათედრამ, რომლის პირველი გამგე თვითონ იყო. ამჟამად, საქართველოს უნივერსიტეტებში ამ კათედრაზე მომზადებული მრავალი პროფესორი წარმატებით მოღვაწეობს. მნიშვნელოვანია აგრეთვე რ. გამყრელიძის დამსახურება საინჟინრო მიმართულების მართვის თეორიის სპეციალისტების ჯგუფის ჩამოყალიბებაში.

რევაზ გამყრელიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის პრემია.

2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქართულ ენაზე გამოსცა რევაზ გამყრელიძის ცნობილი ლექციათა კურსი „ოპტიმალური მართვის თეორიის საფუძვლები“, რომელიც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა 1974 წელს. ეს წიგნი საფუძვლად დაედო ილიას უნივერსიტეტში ვარიაციათა აღრიცხვის სასწავლო კურსს, რომლის შექმნაშიც რ.გამყრელიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო. 2019 წელს ცნობილმა რუსულმა გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა აღნიშნული წიგნის მესამე გადამუშავებული და შესწორებული რედაქცია, რომელიც რევაზ გამყრელიძის მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა ავტორთან აქტიური თანამშრომლობით მოამზადეს.

1999 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა რ.გამყრელიძის ნაშრომი „მაქსიმუმის პრინციპის აღმოჩენა“, რომელიც მომდევნო წლებში მრავალმა ევროპულმა და ამერიკულმა გამომცემლობებმ შეიტანეს თავიანთ გამოცემებში. ნაშრომის რუსული თარგმანი კი შევიდა წიგნში „XX საუკუნის მათემატიკური მოვლენები“. ამ ნაშრომის ქართული ვარიანტის მომზადებაში რევაზ გამყრელიძემ აქტიური მონწილეობა მიიღო და ნაშრომი 2018 წლის ჟურნალ „მათემატიკაში“ გამოქვეყნდა.

წელს აკადემიკოს რევაზ გამყრელიძეს 95 წელი შეუსრულდა. მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მათემატიკის კლასიკოსს, საამაყო ქართველს რევაზ გამყრელიძეს!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად ულოცავს სახელოვან ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მათემატიკოსს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს რევაზ გამყრელიძეს დაბადებიდან 95 წლისთავს და უსურვებს დღეგრძელობას, ბედნიერებასა და შემოქმედებით გამარჯვებებს.

◎ მადლობა

აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში სიკვდილს გადამარჩინეს!

მე, 91 წლის ანა ვაჩნაძემ, აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის №19 კოვიდგანყოფილებას მივმართე თვითდინებით, მძიმე ჩივილებით, სტაციონარში მოთავსების თაობაზე. სიმპტომების გამოვლენა დამეწყო 21 ნოემბრიდან. აღმენიშნებოდა შემცივნება, ტემპერატურის მატება, მშრალი ხასიათის ხველა და სხვ. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა — მოიმატა ხველის ინტენსივობამ, დაემატა მკვეთრი ზოგადი სისუსტე, გულისრევის შეგრძნება და სხვა მოვლენები.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეფასდა მძიმედ. ლაბორატორიულად დამიდასტურდა ახალი კორონავირუსით (U-07-1) გამოწვეული დაავადება. მომათავსეს №19 კოვიდგანყოფილებაში და დაიწყო ჩემი მკურნალობა ამ მიმართულებით.

ექიმების დიდი ძალისხმევის შედეგად მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კლინიკაში მისვლამდე გათვალისწინებული მქონდა ექიმების რჩევა აცრის აუცილებლობის შესახებ (გაკეთებული მქონდა ორი დოზა), რამაც გარკვეულწილად და მნიშვნელოვნად ხელი შეუშალა დაავადების კიდევ უფრო გართულებას და ხელი შეუწყო საშიში გართულებებისგან ჩემს დაცვას.

კლინიკიდან გამოვედი გამოჯანმრთელებული!

მადლობას ვუხდი აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის №19 კოვიდგანყოფილების მთელ პერსონალს — ექიმებსა და მომსახურე პერსონალს, ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის, რამაც ამ ასაკში საშუალება მომცა გავმკლავებოდი უაღრესად მძიმე დაავადებას.

პატივისცემით,
ანა ვაჩნაძე,
91 წლის.

◎ ყურადღება!

როგორ უნდა მოიქცეს კოვიდინფიცირებული, თუ ოჯახის ექიმი 48 საათში არ დაურეკავს?

საქართველოში კორონავირუსის შემთხვევის მატებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში მოსახლეობის მიმართვიანობა გაზრდილია. 112 მოქალაქეებისთვის განცხადებას ავრცელებს.

„112-ში, 24 საათის განმავლობაში, 35%-მდე არამიზნობრივი და საინფორმაციო ტიპის ზარი შემოდის, რაც მუშაობას აფერხებს. გთხოვთ, გამოიჩინოთ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არამიზნობრივად არ დარეკოთ 112-ზე. გადაუდებელი შემთხვევისას, შეუფერხებლად დაკავშირებისთვის 112 დაიყო სამ არხად:

— 112 — სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება;

— 112-1 — პოლიცია და სახანძრო სამაშველო სამსახური;

— 112-2 — კოვიდ-19-ის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია დარეკოს 112-2-ზე ან დარეგისტრირდეს პორტალზე.

112-ის მიერ, კოვიდ-19 დადასტურებული შემთხვევები, შემდგომი მონიტორინგისთვის, გადაეცემა ოჯახის ექიმებს. თუ 48 საათის განმავლობაში არ დაგიკავშირდათ ოჯახის ექიმი, შეგიძლიათ, დარეკოთ ცენტრალური ონლაინკლინიკის ცხელ ხაზზე — 1522, ხოლო კერძო დაზღვევის შემთხვევაში, თქვენი სადაზღვევო კომპანიის ცხელ ხაზზე“,

— აღნიშნულია 112-ის განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში აცხადებენ, რომ 112 პანდემიის დაწყებიდანვე აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

არ უნდა ვაფინანსებდეთ პოლიტიკას, რომელიც გვანგრევს

რა სარგებელი შეუძლია მოიტანოს დასუსტებულმა „ნაცმოძრაობამ“?!

„რაც უფრო სუსტი იქნება „ნაცმოძრაობა“, მით უფრო გაძლიერდება დემოკრატია“, – ასეთია **ირაკლი კობახიძის** ფორმულა დემოკრატიისთვის, რომლის აზრითაც, ამ ანტისისტემური პარტიის დასუსტება პირდაპირ აისახება ქართული დემოკრატიის გაძლიერებაზე.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ირაკლი კობახიძე „ნაცების“ დასუსტებაში ხედავს პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების გასაღებს. მანამდეც მან არაერთი მსგავსი განცხადება გააკეთა. უფრო ადრე მან ცალკეული ეპიზოდები გაიხსენა „ნაცების“ 9-წლიანი ეპოპეიდან და განმარტა, რომ როდესაც მოღონიერდებოდა ხოლმე „ნაცმოძრაობა“, მაშინვე საფრთხე ექმნებოდა ქვეყნის სტაბილურობას, ხოლო, როცა „ნაცმოძრაობა“ სუსტდებოდა, ქვეყანა წელში იმართებოდა.

ექსპერტთა ნაწილი სწორედ „ნაცების“ დასუსტებაში ხედავს სხვა პოლიტიკური ძალების გააქტიურების გასაღებს, ანუ ე.წ. მესამე ძალის გამოსვლას პოლიტიკურ ავანსცენაზე, რომლის გააქტიურებასაც „ნაცმოძრაობა“ აფერხებს.

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** აზრით, ის, რომ თითქოს „ნაცმოძრაობა“ არ უშვებს პოლიტიკურ არენაზე მესამე ძალას, არაა არსებითი, რადგან აქ ისევ მოსახლეობის განწყობაზეა საუბარი, რომლის მიხედვითაც, რეიტინგით პირველ ადგილზეა „ქართული ოცნება“. თუნდაც „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებიც ამას ცხადყოფს. მეორე ადგილზეა „ნაცმოძრაობა“. მესამე ისეთი ძალა კი არ გამოჩნდა, რომელიც თავის მხარეზე ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილს მიიზიდავდა.

„კი ბატონო, პარტიამ „საქართველოსთვის“ მიიღო 8%-ზე მეტი, ამიტომ აქ იმაზე არაა საუბარი, რომ „ნაცმოძრაობა“ არც ერთ ალტერნატიულ ძალას არ უშვებს ქართულ პოლიტიკაში. მაშინ რაღაც კონკრეტული ძლიერი პოლიტიკური ძალა უნდა გამოჩნდეს, თავისი ფინანსური რესურსებით, რომ ხალხი მას ენდოს. მაშინ ვერც „ნაცმოძრაობა“ შეაკავებს ამ პროცესს და ვერც „ქართული ოცნება“, – აცხადებს ნიკა ჩიტაძე.

ანალიტიკოსის განმარტებით, თუ „ქართულ ოცნებას“ სურს „ნაცმოძრაობის“ დასუსტება და გამუდმებით საუბრობს კიდეც, დავამთავროთ და ავკრძალოთ „ნაცმოძრაობა“, ეს შეუძლიათ გააკეთონ კანონიერი გზით. კერძოდ, განახორციელონ შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სამართლებრივი პოლიტიკა, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ამაღლდეს. ასეთი პოლიტიკით შესაძლებელია, რომ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე ოპოზიციას უჭერდნენ მხარს, მომავალში „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერები გახდნენ. ასევე, მმართველ გუნდს შეუძლია, ნეიტრალური ამომრჩეველი გადაიბიროს.

ნიკა ჩიტაძე პარალელებზეც საუბრობს. კერძოდ, დასავლეთში არსებობს „შესწავლილი გაკვეთილების“ ცნება, ამიტომ პოზიციამაც და ოპოზიციამაც შეცდომებზე უნდა ისწავლონ, დასკვნა გამოიტანონ და მომავლის ხედვა დასახონ. ოპოზიციის მხრიდან მარტო იმის ძახილი, რომ ივანიშვილის რეჟიმი ხვალ დამთავრდება, ზეგ დამთავრდება და დიდი ხანი არ უწერია, არაფრის მომცემია. ანალიტიკოსის აზრით, ამას სჯობს რეალური საინფორმაციო კამპანია ჩაატარონ, აუხსნან მოსახლეობას, იმ 9 წლის განმავლობაში რა კეთდებოდა, რა იყო შეცდომები, რა იყო დეზინფორმაცია და განმარტონ, რატომ არის კარგი კოალიციური მთავრობა.

„არ ვამბობ, „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდესთქო. კოალიციური მთავრობის მომხრე ვარ, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდეს პოლიტიკური მონოპოლიის მოპოვების საშუალება“, – ამბობს ნიკა ჩიტაძე.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობის“ დასუსტება თუ იმისთვისაა საჭირო, რათა სხვა ძალები გაჩნდნენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ მესამე ძალას ამომრჩეველი უკვე ჰყავს და ამ ამომრჩეველს უნდა მიხედონ.

„მესამე ძალის პრობლემა ისაა, რომ უკვე არსებული ამომრჩევლის მობილიზება მოახდინოს, თორემ „ნაცმოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ ისედაც მობილიზებული ჰყავს თავისი ამომრჩეველი“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ. პოლიტიკის დენაციფიკაციაზე კარგა ხანია საუბრობს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი,** რომელიც მიიჩნევს, რომ „ნაცები“ აბრკოლებენ პოლიტიკური სივრცის განვითარებას საქართველოში. ამიტომ ამ ექსტრემიზმის ალტერნატივა უნდა შეიქმნას და არ უნდა ვაფინანსებდეთ პოლიტიკას, რომელიც გვანგრევს.

„ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა“ თავისთავად გაქრება, რადგან ჩვენი ამომრჩევლის 45%-მა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ „ნაცების“ ალტერნატივა უნდა შეიქმნას, რომელიც „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგე ამომრჩევლის ინტერესებსაც წარადგენს პოლიტიკაში“, – მიაჩნია ანალიტიკოსს.

მანანა ნოზაძე

„საიდან იცის სააკაშვილმა, რას აპირებენ რუსები?!

იმის მიუხედავად, რომ საქართველო რუსეთთან საომარ მდომარეობაში იმყოფება და გრძელდება მცოცავი ოკუპაცია, ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურობას რეგიონში, რაც ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს ხელს არ აძლევთ! მიხეილ სააკაშვილი, რომლის პატიმრული წესრიგია არასტაბილური გარემოს შექმნა, გარდა იმისა, რომ ციხის კედლებიდან ცდილობს ქვეყანაში დესტრუქციული პროცესების შექმნას, ცდილობს გავლენა მოახდინოს ქვეყნის საგარეო იმიჯზე.

ექს-პრეზიდენტმა სასამართლო პროცესი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას ეხებოდა, ტრადიციულად, პოლიტიკურ ტრიბუნად გამოიყენა. ამჯერად მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ **ვლადიმერ პუტინი** ემზადება ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ცხინვალის რეგიონის ანექსიისთვის.

„მე ვარ უკრაინის სიმბოლოიანი მაისურით და ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვაქვს რთული სიტუაცია. მე მგონია, რომ უკრაინაში ომის საშუალება პუტინმა უკვე დაკარგა, მაგრამ ის ემზადება პროვოკაციებისთვის, ის ემზადება დონეცკის და ლუგანსკის ასაღიარებლად, მაგრამ ის ამავე დროს ემზადება ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ცხინვალის რეგიონის ანექსიისთვის და ის, რომ აქაური ხელისუფლება დამალულია, სულ ფეხებზე ჰკიდია პუტინს. ის აუცილებლად გააკეთებს ამას და ჩვენი დამხმარე არავინ არ იქნება, ეს იქნება ივანიშვილის და პუტინის ერთობლივი თამაში, ამიტომ თუ ხალხმა არ ამოიღო ხმა, ჩვენ არ გვექნება სხვა არანაირი გამოსავალი“, – წაიბჟუტურა მიხეილ სააკაშვილმა.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა** ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი მიზანმიმართულად ცდილობს საქართველო-რუსეთს შორის დაძაბოს სიტუაცია, რადგან მიაჩნია, რომ თუ ორ ქვეყანას შორის უკიდურესად დაიძაბება ვითარება, ის მოთხოვნადი გახდება. გოგავა თვლის, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა არის სტრატეგული თმენის პოლიტიკა, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში შესვლა შედეგს არ მოიტანს და მაქსიმალურად თავს იკავებენ აგრესიული რიტორიკისგან.

„ახლა ჩვენ ვაკვირდებით უკრაინაზე ორმხრივ პრესინგს ამ სცენარის რეალიზებისთვის, რომლის ალტერნატივა არის უკრაინის დაშლა ენის მიხედვით და კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია. უკრაინის დაშლა, კვლევების მიხედვით, არც ერთი ენის ჯგუფს არ სურს. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მთავარი კითხვა საქართველოსთვის – გამოდგება თუ არა ეს სცენარი აფხაზეთისთვის?! პასუხი ვიცით, მაგრამ მსჯელობა მაინც საჭიროა.

აი პასუხიც, ამერიკული კარნეგის ცენტრის კვლევით, თუკი სასწორზე იქნება, ერთი მხრივ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და მეორე მხრივ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, საქართველოს მოსახლეობის 78% ტერიტორიების დაბრუნებას ირჩევს, 7%-მა არ იცის, 13% ევროატლანტიკურ სტრუქტურებში წევრობისკენ იხრება. კვლევის საველე სამუშაოები CRRC-მ ჩაატარა, ეს ორგანიზაცია წლებია NDI-ს უტარებს კვლევებს. რაც შეეხება სააკაშვილს, ის მიზანმიმართულად ცდილობს საქართველო-რუსეთს შორის დაძაბოს სიტუაცია, რადგან მიაჩნია, რომ თუ ორ ქვეყანას შორის დაიძაბება სიტუაცია, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნადი გახდება, რაც თავისთავად არარეალურია“, – აცხადებს ირაკლი გოგავა.

სააკაშვილის განცხადებას რომ საფუძველი არ აქვს, ამის შესახებ საუბრობს კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი,** რომლის შეფასებით, ამ ეტაპზე ვერ ხედავს იმის თქმის საბაბს, რომ რუსეთის ყურადღება შეიძლება საქართველოსკენ იყოს მიმართული. კონფლიქტოლოგი სააკაშვილს ურჩევს დაანაზუსტოს, რას ეფუძნება მისი განცხადება.

„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არაფერს არ ეფუძნება სააკაშვილის ეს განცხადება. „ქართული ოცნების“ ფრთხილი პოლიტიკით რუსეთი ბედნიერია. ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ რუსეთმა ეს სიფრთხილე არ დაუფასოს „ქართულ ოცნებას“. სააკაშვილი საქართველოში ვერ ფლობს ვითარებას. აშკარად, სულ სხვა ვითარება ჰგონია, გაიძახის ვადამდელი არჩევნებიო, რომ კარგი დროა ჩამოვაგდოთ „ქართული ოცნებაო“ და ამ დროს ყველამ იცის, რომ ამის საფუძველი არ არსებობს. ვფიქრობ, რომ რეალობას ვერ აღიქვამს და ამიტომ აკეთებს არასწორ დასკვნებს. არ ვიცი, ვინ რას ეუბნება, მაგრამ ამ განცხადების არავითარი საფუძველი არ არსებობს“.

* * *

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეგიონული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი **მამუკა არეშიძე** ფიქრობს, რომ ბრალდებულ სააკაშვილის მიზანია რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება, რომელშიც პირდაპირ და ირიბად ერევა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში არსებობს.

„ხშირ შემთხვევაში, მგონია, რომ დაკვეთით მუშაობს. ერთი კითხვა მაქვს – საიდან იცის სააკაშვილმა, რას აპირებენ რუსები? აი, ამ კითხვაზეა პასუხი მისაღები. მან რომ თქვას, ინფორმაცია უკრაინული დაზვერვიდან მოვიპოვეო, მაშინ ჩნდება კითხვა – თუ უკრაინულმა დაზვერვამ იცის ამის შესახებ, ჩვენს ხელისუფლებას რატომ არ უთხრა? რა მეგობრობაა, მაშინ, თუ ქვეყნის ანექსია იგეგმება და არ ეუბნები? რაც შეეხება მცდელობას, ვერბალურ დონეზე ბევრჯერ მომისმენია სხვადასხვა ფორმით ამ თემის აქტუალიზაცია, მაგრამ სააკაშვილმა გაახმოვანა ის, რაც ენაზე მოადგა, როგორც იცის ხოლმე. ამ განცხადების მიზანია, მუდმივად ხაზის გასმა ხელისუფლების სისუსტეზე და მითითება, რომ აი, ხელისუფლება შემრიგებლურ პოლიტიკას ატარებს რუსეთთან და ამის გამო მოხდება ეს უბედურება რაზედაც მქონდა ლაპარაკიო. რაც შეეხება თვითონ ფაქტს, სამეგრელოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ისედაც ანექსირებულია და ამას არ სჭირდება მაღალი ტრიბუნიდან ბევრი ლაპარაკი, ეს ფაქტია და სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეა. ჩვენი ამოცანაა, რომ ამის გაფორმება არ მოხდეს ისე, როგორც ჩაფიქრებული აქვს მოსკოვში მავანს“, – აცხადებს **მამუკა არეშიძე.**

რაც შეეხება სამეგრელოს ანექსიას, როგორც მამუკა არეშიძე აცხადებს, აქ ლაპარაკი არის ისეთ თემაზე, რომელიც საკმაოდ პოპულარულია რუსულ პოლიტიკურ წრეებში.

„ასეთი ნარატივი აქვთ, ისინი ქართველებად არ თვლიან მეგრელებს და სვანებს. აქედან გამომდინარე, თვლიან, რომ შეიქმნება პროცესი, რომელიც ერთმანეთს დააპირისპირებს ქართველებს და ამ ორი ეთნოჯგუფის წარმომადგენლებს. აქედან გამომდინარე მოხდება ამ ტერიტორიების დაკარგვა. სამწუხაროდ, ეს თემა ძალიან პოპულარულია რუსულ ექსპერტთა წრეებში. ჩნდება კითხვა, არის თუ არა ამის მოცემულობა და შანსი? პრინციპში, ამ მიმართულებით მუშაობა დიდი ხანია მიდის, მაგრამ შედეგები დადგება თუ არა, ეს უკვე სხვა საკითხია“, – აღნიშნა **მამუკა არეშიძემ.**

თამთა ქარჩავა

ნაცდესანტი წყნარი დნიპროს ნაპირებზე

კრეშჩატიკი, სლავუტიჩი, დარნიცა – იცოცხლეთ, გემოვნება არ დაეწუნებათ დნიპროს ნაპირების ხშირ სტუმარ ნაცოპოზიციასა და მის მფარველ კალთას შეკედლებულ, 1-2 პროცენტიანი დანარჩენი „ძალა ერთობაშიაში“ გაწევრებული, მუდამ სხვისი ხელის შემყურე უთავმოყვარეო პარტიუკების წარმომადგენლებს.

ფიურერის გასკვანჩის შემდეგ თითქოს მინავლებული სამოგზაურო სეზონის განსაახლებლად მშვენიერი საბაბი აღმოჩნდა რუსეთ-უკრაინის საზღვარზე კიდევ ერთხელ დანთებული სამხედრო-პოლიტიკური ცეცხლი და, აჰა, კიევისკენ ტურისტთა ქართულ ნაკადს მეორე სუნთქვა გაეხსნა – აქაოდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სამარცხვინო საპარლამენტო, ვითომ მოძმე ერის მხარდამჭერი, სინამდვილეში კი ჩრდილოური დათვის არგამღიზიანებელი რეზოლუცია მიიღოო, ერთგვარი გრაფიკი შეიმუშავეს და ბორისპოლის საერთაშორისო აეროპორტში ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს დაშვება. ეს ჩვენი ძალად მედასავლეთენი, ხოლო არსით ეროვნული სიმდიდრისა და სტრატეგიული ობიექტების სწორედ ოკუპანტ მეზობელზე გადამლოცველნი კი იმას არად დაგიდევენ, რომ ოფიციალურმა კიევმა უმალ აფრინა თბილისისკენ მადლიერების გამომხატველი საპასუხო უსტარი საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას სახით.

ვინ, თუ არა მაგიდაზე მოხტუნავე ნონა მამულაშვილი, უნდა ყოფილიყო იქაურ ცივ ზამთარში განხორციელებული თბილი ქართული ექსპედიციის პირველი წევრი, რომელმაც ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ბაბეტას როლის შესრულებაც მოასწრო და საბრძოლო პოზიციებზე ხაკისფერ შესაბამის ეკიპირებაში გამოწყობილი არც ტელეკამერების წინ პოზირებას მოერიდა.

ის იყო, უკრაინელებმა კიდევ ერთხელ ირწმუნეს ლეკვი ლომისა სწორიას ჭეშმარიტება, რომ ბრიტანეთის პრემიერ ბორის ჯონსონის პარალელურად თვით „ლელოსა“ და „დროას“ დესანტიც დაამშვენეს მამუკა ხაზარაძემ და კლოუნმა გრიგოლ გეგელიამ, მაგრამ ეს წვრილფეხობა რა მოსატანია პეკინის ოლიმპიადის კვირაძალს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქცეული 40-მილიონიანი სახელმწიფოსაკენ გადასროლილ მძიმე არტილერიასთან შედარებით ელენე ხოშტარიას, ეკა ხერხეულიძის, სალომე სამადაშვილის, თინათინ ბოკუჩავას, ხატია დეკანოიძის, კობა ნაყოფიას, ბათუ ქუთელიასა და გიორგი ბოტკოველის შემადგენლობით. მოკლედ, ძრწოდეთ რუსებო!

კიდევ ერთი საკითხი, რის გამოც ეს ჩვენი ფსევდო „ევროპელები“ ლამისაა საცვლებიდან ამოხტნენ, უკრაინის რადაში გამოფენილი იმ ქვეყნების დროშების პერფორმანსია, რომლებიც აგრესორის შესაშინებლად სავარაუდო მსხვერპლს იარაღითა თუ ფინანსურად დაეხმარნენ. ბუნებრივია, მათ შორის ჩვენი ატრიბუტიკის ადგილი არ იყო, რაც განემარტათ კიდეც კვაზიოპონენტებს, მაგრამ შეასმენ მათ რამეს?

საინტერესო კიდევ, იცით, რა არის? რა ჭკუაზე არიან ეს არამკითხე მოამბენი ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში უკრაინელთა წაგების შემდეგ რუსებთან – ეს მატჩი ხომ ურაპატრიოტთა მიერ დიდ სამამულო ომად იყო მიჩნეული და, წესით და რიგით, ზელენსკის გლოვა უნდა გამოეცხადებინა.

საკითხავია აგრეთვე, რატომ არ ჩაისეირნეს პროფესიონალმა ნაცმაწანწალებმა ყოფილი პირველი ლედის სამშობლოში, სადაც ეს შეხვედრა გაიმართა. თუმცა, კითხვებს რა გამოლევს.

გია პლატონიშვილი

* * *

სამარცხვინო „ნაცუძრაობის“ პოლიტსაბჭოს ახალ შეფს:

რუსულ ფულზე დაგეშილი ჩრდილოეთში ნამყოფია, ნაყოფიას ინტელექტი ნაცებისთვის სამყოფია. როცა სამშობლოში არის ქართველობის გამყოფია, ფიზიკურად ლოტოს კოჭი ქიმიური ფლაკონია. წარმოშობით სენაკელი ორთოდოქსი შხამმფრქვევია, ნუთუ სადმე იძებნება მისებრ ნაცნაცარქექია?!

საზარბაზნე ხორცი

საქართველოს დამაზიანებელი პროექტები უკრაინიდან!

(პირველი გვერდიდან)

მოვლენათა დაახლოებით იმავე განვითარებას (ხელოვნური დაბრკოლებების შექმნას) ვაკვირდებით უკრაინაშიც. ამიტომ არის ეს ქვეყანა ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე, მაგრამ... არის ერთი მაგრამ... **დასავლელმა პარტნიორებმა „მოახერხეს“, რომ უფრო მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელ სიტყვას, „მეგობარი“, ორი ქვეყნის ურთიერთობაში ბზარი გასჩენოდა: ბოლო წლებში უკრაინა წარმოადგენდა საქართველოს პრობლემების,** თუ შეიძლება ასე ითქვას, **მართვის ცენტრს და ბაზას ჩვენი ქვეყნის დამაზიანებელი პროექტების შემუშავებისთვის.** საქართველოში დესტაბილიზაციის ორგანიზების ყველა მცდელობა, წლების განმავლობაში, უკრაინაში იღებდა სათავეს. ეს ყველაფერი სხვის თავს რომ ხდებოდეს, დაჯერებაც კი გაგვიჭირდებოდა, რომ მეგობარი სახელმწიფო ინახავს შენი ქვეყნის მიმართ მძიმე დანაშაულებში მხილებულ (მსჯავრდებულ) ადამიანს, მისი ავტორიტეტის ამაღლებისთვის, საქმის კეთებაში სრული უუნარობის მიუხედავად, ნიშნავს მაღალ თანამდებობებზე, აძლევს ნაძარცვი ფულის ბრუნვის საშუალებას, თავშესაფარს აძლევს მისი გარემოცვის სხვა მსჯავრდებულ დამნაშავეებს, თვალს ხუჭავს მეგობარი სახელმწიფოს საზიანოდ წარმოებულ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე და ა.შ.

მავანმა გულუბრყვილომ შეიძლება იკითხოს, დასავლელი პარტნიორები რა შუაშიაო? ჯერ ერთი, იმ შუაშია, რომ **ანტიქართული ცენტრის ფუნქციონირება ხდებოდა უკრაინის სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში, რომელთაგან არცერთს არ გააჩნდა მ. სააკაშვილთან რაიმე პირადი ვალდებულება** და მეორე, **მეგობარი ქვეყნისთვის ზიანის მომტანი სუბიექტისთვის პირობების შექმნა ამ ხელისუფლებებისთვის და მათი სახელმწიფოსთვის არ იყო სარგებლის მომტანი.** რჩება ის, **რომ არ ჰქონდათ საშუალება, სააკაშვილის გამოყენებით დაგულისყურებული პარტნიორებისთვის („გავლენიანი ძალებისთვის“), უარი ეთქვათ მოთხოვნაზე.** აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, როგორ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ევროკავშირისა და აშშ-ის სხვადასხვა წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას ნაცსექტისა და სააკაშვილის დესტრუქციული მოქმედებებით წარმოქმნილი ხელოვნური კრიზისების მოგვარების საქმეში (მარტო სამი კრიმინალის ციხიდან დახსნის გახსენებაც კმარა), ყველაფერი ნათელი იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **საქართველოს სახელმწიფოს უკრაინის სახელმწიფოს მიმართ და საქართველოს ხელისუფლებას უკრაინის ხელისუფლების მიმართ არავითარი მორალური ვალდებულებები არ გააჩნიათ. ჩვენს ყველა მოქმედებას უნდა განსაზღვრავდეს საერთაშორისო სამართლის, სამართლიანობისა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები.** ნებისმიერი ზედმეტობა არც საღი აზრის ჩარჩოში ჩაჯდება და არც დიპლომატიის გამოვლინებად არ შეიძლება შეფასდეს. წერილის შუაწელში პოლიტიკაში ემოციების როლზე რომ ვსაუბრობდი, ეს გახლავთ პასუხი...

უკრაინის ირგვლივ მიმდინარე პროცესებიდან ასეთი სურათი იკვეთება, რომ **საომარი მოქმედებების მუქარა ერთ მიზანს ემსახურება: მისი მოხსნის (გადავადების) შემთხვევაში, უკრაინა ბედნიერი უნდა იყოს, რომ ზარალს ზარალი არ დაემატა.** ასეთი პერსპექტივა, პირველად მაშინ გამოიკვეთა, როცა პრეზიდენტ ბაიდენს „წამოცდა“ ვერსიები ომის მცირე და ფართომასშტაბიანი განვითარებების შესახებ. ასეთი ვარაუდის გამოთქმაზე სითამამე არ მეყოფოდა, მსგავსი რამ ყველას ერთად ნანახი რომ არ გვქონდეს ახლო წარსულში, თანაც ორჯერ – საქართველოს 2008 წლისა და უკრაინის 2014 წლის მოვლენები მაქვს მხედველობაში.

> საქართველოს შემთხვევა გავიხსენოთ: **რამდენიმე საათიანი სამარცხვინო „ცალკარას“ მერე, იმას გვაზეიმებდნენ, რომ სამფეროვანი დროშა თბილისის თავზე არ აღიმართა და იმის დაყვედრებაც გვაკადრეს, გამყიდველი ხელისუფლება დატყვევებას ხომ გადაგიჩრჩინეთო. მშვიდობიანი მოძალაძეები, ტრადიციულად, საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს** ამ ყველაფრის შედეგი კი ის გახლავთ, რომ **რუსეთმა მაძსიმუმი მიიღო, ორი სატელიტი „სახელმწიფოს“ სახით, სადაც განალაგა სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო ბაზები, დასავლეთმა შეინარჩუნა გავლენა დარჩენილ 80% ტერიტორიაზე, რაც სრულიად საკმარისია მათი სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციისთვის,** ხოლო **საქართველო დარჩა გაძარცვულ-შეურაცხყოფილი, ღმერთმა უწყის, რა პერსპექტივით.** ჩრდილო-დასავლურ ახალ გადანაწილებაში დღეს ერთადერთი პრობლემა საქართველოს „ჯიუტი“ ხელისუფლებაა, რომელსაც „აუჩემებია“ და ნერვების მომშლელად „მანიპულირებს“ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წყნარი ცხოვრებისთვის სრულიად შეუსაბამო სიტყვათა წყობით – „ეროვნული ინტერესები“.

ბიძინა დვალი

ნიკა მელია: ვიცოდი, რომ მიშას უცხოეთი მხარს არ დაუჭერდა

ჩემი პარტნიორული, მეგობრული, კოლეგიალური გაფრთხილება იყო მიშასთვის, ვიცოდი ამერიკელების განწყობა და ევროპელების, ვეუბნებოდი – ხმას არ ამოიღებენ მეთქი, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ვიცოდი, რომ უცხოეთი მხარს არ დაუჭერდა, – აცხადებს ნიკა მელია ვიდეომასალაში, რომელიც „ქრონიკამ“ ექსკლუზიურად მოპოვა.

ვიდეოჩანაწერი „ქრონიკას“ მოქალაქემ მიაწოდა და ის გუშინ, საქალაქო სასამართლოს ეზოშია გადაღებული. ჩანაწერი მაშინაა გაკეთებული, როდესაც მიხეილ სააკაშვილის სასამართლო იმართებოდა. ვიდეოში მელია მხარდამჭერებს მიმართავს. მისი თქმით, დღეს რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ უსუსურობაა და სიზარმაცის ბრალია ის, რომ არჩევნებში ხმები თვითდინებით მიიღეს.

კახა კალაძე: „ნაციონალური მოძრაობა“ არის ძალა, რომელიც დაფუძნებულია სიცრუესა და ბოროტებაზე

კახა კალაძე „ქრონიკაში“ გასულ ნიკა მელიას ვიდეოჩანაწერს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აქ სიახლე არაფერია და ამაზე მმართველი პარტია დიდი ხანია საუბრობს.

„ამ ჩანაწერში სიახლე არაფერია, ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით. ეს არის ძალა, რომელიც დაფუძნებულია სიცრუეზე, ბოროტებაზე, ყველაფერი ცუდი რაც კი შეიძლება მოიფიქროს ადამიანმა, ყველაფერს კადრულობენ. ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მათ საზოგადოების მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერა არ ჰქონდათ და არჩევნებშიც დადგა შესაბამისი შედეგი – მოსახლეების უმრავლესობამ მმართველ პარტიას დაუჭირა მხარი“.

ნიკა მელია აღიარებს, რომ სააკაშვილმა პარტიის გეგმები არია. მისმა დავალებებმა კი რესურსი ამაოდ გახარჯა. „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს გაქცეული ლიდერის ჩამოსვლა არ სურდა. ეს მკაფიოდ ჩანს და ისმის ვიდეომასალიდან, რომელიც „ქრონიკამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა.

ჩვენ საერთო ღირებულებები გვაერთიანებს

კელი დეგნანი საქართველო-ამერიკის ურთიერთობასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე

(მეორე გვერდიდან)

ასევე ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია ნარკოტიკების, იარაღის, ზოგჯერ ადამიანების უკანონო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოს მნიშვნელოვანი სამართალდამცავი როლიც აქვს, ფართო უსაფრთხოების როლთან ერთად.

რუსეთს სურს შავი ზღვა საკუთარი უკანა ეზოს ზღვად აქციოს და აკონტროლოს ყველაფერი რაც შედის და გადის შავ ზღვაში. საქართველო თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს იმისთვის, რომ შავი ზღვა საერთაშორისო ზღვად დარჩეს, რომელიც ყველა ჩვენი ქვეყნის გემებისთვის იქნება გახსნილი.

— რეფორმებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა გკითხოთ სასამართლოს რეფორმაზე. ამ რეფორმას შეერთებული შტატები ბევრი წელია უჭერს მხარს. თქვენ, პირადად ხართ აქტიურად ჩართული ამ პროცესში და ხშირად ხმამაღლა გამოგითქვამთ თქვენი მოსაზრება და კრიტიკა რეფორმის პროცესზე. როგორ აფასებთ, კონკრეტულად, სასამართლოს რეფორმას?

— როგორც თქვენ თქვით, ჩვენ საქართველოს ძლიერი, დამოუკიდებელი და პროფესიონალური სასამართლო სისტემის დამკვიდრებაში 15 წელზე მეტია ვეხმარებით. მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ ერთგვარ წარმატებას მიაღწია. სასამართლო უფრო ეფექტურია, სისტემაში არის არაერთი პროფესიონალი მოსამართლე, პროკურორი და იურისტი, რომლებსაც სურთ კანონი, გარედან ჩარევის გარეშე დაიცვან.

ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ რეფორმის პროგრამაზე მუშაობა, რომელიც ლოგიკური გაგრძელება იქნება იმ საქმისა, რომელიც აქამდე გაკეთდა. საქართველოს მოქალაქეებს სურთ უფრო მეტად მოქნილი სამართლის სისტემა, სურთ ნახონ საქმეების უფრო სწრაფი გადაჭრა, მოსამართლეების განაწილება უნდა მოხდეს იქ, სადაც მათი ყოფნა საჭიროა და არა მხოლოდ თბილისში.

უნდა ვთქვა, რომ მოხარული ვარ ახალი სპიკერისგან და პოლიტიკური ლიდერებისგან იმის მოსმენით, რომ სასამართლოს რეფორმა ამ ახალი პარლამენტის პრიორიტეტი იქნება. მათ იციან რომ მეტი საქმეა გასაკეთებელი. იმედი გვაქვს, რომ ეს ინკლუზიური პროცესი იქნება და ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებას მიეცემათ საშუალება, საკუთარი წვლილი შეიტანონ იმაში, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს საქართველოს სასამართლო სისტემა ახლო, საშუალო და შორ პერსპექტივაში.

— გასულ წელს, მანამდეც, შეერთებული შტატების კონგრესიდან, ცოტა ხნის წინ კი სახელმწიფო დეპარტამენტიდან მოვისმინეთ შეშფოთება დემოკრატიიდან უკუსვლაზე. პირადად თქვენც არაერთხელ ხმამაღლა გისაუბრიათ დემოკრატიული პროცესის დასაცავად. საქართველოს მთავრობა კი აცხადებს, რომ რეფორმების პროცესი გეგმიურად მიდის პარტნიორებთან კოორდინაციით. თქვენი აზრით, სადამდე შეიძლება მივიდეს ეს ურთიერთ-წინააღმდეგობა? შეერთებული შტატები უფრო მეტ რეფორმას ითხოვს, მთავრობას კი რეფორმების ნაწილში, დამკვირვებლების მოსაზრებით, ჩავარდნები აქვს. რის გაკეთება შეუძლია შეერთებულ შტატებს იმისთვის, რომ უკეთეს პროცესს შეუწყოს ხელი? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არაფერი შეიცვლება?

— როგორც ვთქვი, ძალიან მიხარია, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა სასამართლო და საარჩევნო რეფორმები მთავარ პრიორიტეტად დაისახეს. ამ მხრივ მეტი ძალისხმევა უნდა დავინახოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ინკლუზიური პროცესი იყოს. იმისთვის, რომ რეფორმები ღირებული იყოს, ყველა დაგულისყურებულ მხარეს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეიტანოს.

ამით პროცესის მესაკუთრე ყველა მხარე იქნება. როგორც იცით, საქართველოს შეერთებული შტატების კონგრესში ორპარტიული მხარდაჭერა უკვე დიდი ხანია აქვს და ბევრი მეგობარი ჰყავს. როგორც კარგი მეგობრები, ყოველთვის ყველაფერზე ვერ ვთანხმდებით და როგორც კარგი მეგობრები, ერთმანეთს უთანხმოებაზე ვეუბნებით.

ხდებოდა სწორედ ეს — პირდაპირი გამოხატვა იმის, თუ რა იმედები გვაქვს ან რისკენ მოვუწოდებთ საქართველოს საკუთარი დემოკრატიის ასაშენებლად. შეერთებული შტატები მზადაა საქართველოს დაეხმაროს ძლიერი დემოკრატიის ხედვის განხორციელებაში. ვერაფერს, რაც ამას ეწინააღმდეგება, ვერაფერს რაც ძირს უთხრის დემოკრატიულ პროგრესს, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე ვსაუბრობთ. გვირჩევნია ეს კერძო საუბრები იყოს, მაგრამ ზოგჯერ საჯაროდაც ვაკეთებთ განცხადებებს, როდესაც რეფორმების ტრაექტორია ძალიან გვაწუხებს. მაგრამ ეს ღია საუბარია და ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ, როგორც საქართველოს მეგობარი.

საქართველო მშენებლობის პროცესში მყოფი დემოკრატიაა, რომელიც ცდილობს დამოუკიდებელი, გამჭვირვალე ინსტიტუტების აშენებას, რომლებიც უმნიშვნელოვანესია დემოკრატიისთვის. გეთანხმებით, რომ ფუნქციონირებადი პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია დემოკრატიისთვის. ასევე საზედამხედველო ორგანოები, რომლებიც მოქალაქეების უფლებებს იცავენ, როგორიცაა სახალხო დამცველის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, აუდიტის სერვისი. ეს ინსტიტუტები შემოწმებისა და ბალანსის მნიშვნელოვანი ნაწილებია, რომლებიც დემოკრატიის სიძლიერეს, სტაბილურობას და მედეგობას უზრუნველყოფს.

ეს შეერთებულ შტატებში შარშან დავინახეთ. ის, რამაც ჩვენი დემოკრატია გადაარჩინა, ძლიერი ინსტიტუტები და ჩვენი საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმი იყო. საქართველო ამ ყველაფრის მშენებლობის პროცესშია და ამიტომ ვსაუბრობთ ამდენს ამ ინსტიტუტებზე. ვიტყოდი, რომ საქართველოს ყველაზე ძლიერი მხარე ის არის, რომ ქართველ ხალხს სურს დემოკრატია და შეერთებული შტატები ძალიან ამაყობს იმით, რომ ქართველ ხალხს ამ სურვილის რეალობად ქცევაში ეხმარება.

— ინსტიტუტებზე საუბრისას არ შეიძლება არ გკითხოთ თემაზე, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც შეშფოთებას იწვევს. ეს ერთი ადამიანის, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის სახელმწიფო ინსტიტუტებზე გავლენა თუ გავლენის წარმოდგენა არის. რას ფიქრობთ ამ თემაზე? გრძნობთ თუ არა თქვენ ამ გავლენას ქვეყნის ინსტიტუტებზე და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე? და პერსონალურად თქვენ, გირთულებთ თუ არა ეს ფაქტორი ელჩის საქმის კეთებას?

— ჩვენ, ყველა ქვეყანაში, ძირითადად არჩეულ ლიდერებთან ვთანამშრომლობთ. მაგრამ ასევე ვესაუბრებით და ვხვდებით ყველა გავლენიან ქართველს საზოგადოების მთელ სპექტრში, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა, მედია და სხვა. ბ-ნი ივანიშვილი, ცხადია, ძალიან გავლენიანი ქართველია. მან საკუთარი წვლილი შეიტანა ბიზნესში, განათლებაში, არის ფილანტროპი და დააარსა პარტია, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს.

ბევრი ქართველი პატივს სცემს მის კონტრიბუციას. მან გადაწყვიტა, რომ პოლიტიკიდან გასულიყო და შედეგად, ჩვენ მასთან ჩართულობა აღარ გვაქვს, მისი პერსონალური გადაწყვეტილების გამო, რომ გასულიყო პოლიტიკიდან.

როგორც იცით შეერთებულ შტატებშიც ღრმა პოლარიზაცია გვაქვს. ვფიქრობ ერთმანეთს უფრო მეტად უნდა მოვუსმინოთ და ერთმანეთს უფრო ნაკლებად დავესხათ თავს, იქნება ეს საქართველოში თუ შეერთებულ შტატებში. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის, რომ იმავე ენ-დი-აის გამოკითხვაში, ადამიანების 80%-ს სურს, რომ მისმა პარტიამ პარლამენტში საჭირბოროტო საკითხებზე, ყველა პოლიტიკურ პარტიასთან ითანამშრომლოს.

სამწუხაროდ, გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ რომელიმე პარტია მუშაობს თემებზე, რომლებიც მათ აწუხებთ ან მათ ინტერესებში შედის. პოლიტიკურმა ლიდერებმა ეს სერიოზულად უნდა მიიღონ. ამომრჩეველს სურს მათ ისეთ თემებზე იმუშაონ, როგორიცაა უმუშევრობა, ჯანდაცვა, სამუშაო ადგილების შექმნა, განათლების სისტემის გაუმჯობესება.

ვფიქრობ ბევრი კარგი საქმის გაკეთება არის შესაძლებელი, ხალხმა ერთმანეთის მოსმენა რომ დაიწყოს. ამ მხრივ, პრეზიდენტ ზურაბიშვილის ძალისხმევას ვაფასებ, რომ დაიწყოს საუბარი პოლარიზაციის ფესვებზე, ზოგიერთი განსხვავების შეჯერებაზე და მოშუშების პროცესის დაწყებაზე. იმედი მაქვს პრეზიდენტი წარმატებული იქნება.

— როგორც თქვენ თქვით, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მუშაობს საზოგადოებაში ერთობის შესამუშავებლად, ფიქრობთ თუ არა, რომ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაში ყოფნა პოლარიზაციას კიდევ უფრო აღრმავებს? როგორ ხედავთ პრეზიდენტ სააკაშვილის სიტუაციის გაგრძელებას? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სიტუაცია ქვეყნისთვის სასიკეთოდ გადაიჭრას?

— ბ-ნი სააკაშვილი ქვეყანაში ძალიან დაძაბულ დროს დაბრუნდა — ზუსტად არჩევნების დაწყების წინ, როცა პოლარიზაცია უკვე ძალიან იყო გაღრმავებული. ჩვენ, როგორც საჯაროდ, ასევე კერძო საუბრებში მთავრობას მოვუწოდეთ, რომ დაიცვან მისი უფლებები და მას ღირსების დაცვით მოექცნენ.

ჩვენ ასევე მოვუწოდეთ მთავრობას დაიცვას სახალხო დამცველის რეკომენდაციები, ვისაც კონსტიტუცია ავალდებულებს მოქალაქეების უფლებების დაცვას. ძალიან კარგი ბაზისი არსებობს იმისთვის, რომ ბ-ნმა სააკაშვილმა მიიღოს პატივისცემით და ღირსებით მოპყრობა, რაც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართლის და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე.

ჩვენ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, გავაგრძელებთ სააკაშვილის მიმდინარე სასამართლო საქმეებზე დაკვირვებას. რა დონემდეც შეგვიძლია ამის გაკეთება, იმაში დარწმუნებას, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს მასთან წვდომა და რომ იგი იღებდეს, მისთვის საჭირო სამედიცინო მზრუნველობას.

— ფიქრობთ თუ არა, რომ ის ციხეში უნდა იყოს?

— ჩვენ კანონის უზენაესობას პატივს ვცემთ. ბ-ნი სააკაშვილი სასამართლომ ბრალდებულად ცნო. შეერთებულ შტატებზე არ არის დამოკიდებული ბრალდების ხარისხის განსაზღვრა. მან საქმე ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოში შეიტანა, რომელიც ამას გადაწყვეტს და ეს არის სათანადო ადგილი ამის გასაკეთებლად.

იმ საქმეებზე, რომლებიც ჯერ ისევ წარმოებაშია, მთავრობას მტკიცედ ვთხოვთ, რომ სასამართლო პროცესი იყოს სამართლიანი და მის წინააღმდეგ ბრალდებები იყოს სრულად წარმოდგენილი იმისთვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს ლეგიტიმურია თუ არა ეს ბრალდებები.

— დღეს უკრაინის თემა მთავარზე მთავარია, გთხოვთ გვიპასუხოთ, უკრაინის წინააღმდეგ რუსული სამხედრო აგრესიის ფონზე, უნდა ილაპარაკოს თუ არა საქართველომ რუსეთის აგრესიაზე ხმამაღლა. შეერთებული შტატების გადმოსახედიდან, სად არის საქართველო რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კრიზისის დროს?

— სასწორზე, რა თქმა უნდა, უკრაინის მიწა-წყლის მთლიანობაა. საქართველომ უკვე გამოსცადა, რუსეთის მიერ ამ პრინციპის გათელვა. რუსეთი ახლა იმის უფლებასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, აქვთ თუ არა ქვეყნებს საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, პარტნიორების შერჩევის უფლება — უკრაინის და საქართველოს ნატოში გაწევრების უფლება.

საუკეთესო პასუხი ერთიანი მიდგომის შემუშავებაა, იმ პრინციპების დასაცავად, რომლებზეც ჩვენი ცხოვრების სტილია დაფუძნებული, რომლებსაც ასე ვუფრთხილდებით.

ჩემი აზრით, საქართველოს სწორი პასუხი ძლიერი დემოკრატიის აშენებაა, არ გაჩერდეთ და არ შეწყვიტოთ ძლიერი ინსტიტუტების მშენებლობა იმ მესიჯის გასაგზავნად, რომ საქართველოს მომავალი, ძლიერ და ეკონომიკურად წარმატებულ დემოკრატიად ჩამოყალიბებაა. იმედი მაქვს, რომ საქართველო ამ გზავნილს რუსეთს ხმამაღლა გაუგზავნის.

— თქვენ საქართველოში ორი წლის წინ დაინიშნეთ ელჩად. თბილისში თქვენს ჩასვლამდე ამერიკას საქართველოში ელჩი, დაახლოებით ორი წელი არ ჰყავდა. საკმაოდ მალე, მას შემდეგ, რაც საქმიანობას შეუდექით, ორივე მხრიდან ისმოდა თქვენი კრიტიკა. საჯაროდ გაკრიტიკებდნენ ოპოზიციის ლიდერები და გაკრიტიკებდათ მთავრობა, რაც დღემდე გრძელდება. რას ფიქრობთ ამაზე? რას ნიშნავს ეს თქვენთვის? რას ნიშნავს საქართველოში ამერიკის პოზიციის თვალსაზრისით?

— შეიძლება ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცას სწორად ვაკეთებთ. შეერთებული შტატების როლი სამართლიანი შუამავლის როლია. ჩვენ აქ არ ვართ იმისთვის, რომ რომელიმე ერთ პარტიას დავუჭიროთ მხარი. ჩვენი მიზანი ქართველი ხალხის მხარდაჭერაა იმ მიზნის მიღწევაში, რომ ისინი ევროატლანტიკურ ოჯახში გაწევრდნენ. ამისთვის ვართ აქ.

ყველაფერი რასაც ვაკეთებთ, ემსახურება იმას, რომ საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციაში დავეხმაროთ, მათი პროდუქციისთვის ახალი ბაზრები მოვნახოთ, მათი პროდუქციის ხარისხი გავაუმჯობესოთ. ვმუშაობთ ქვეყნის საზღვრის დაცვის გაუმჯობესებლად, სანაპირო დაცვასთან თანამშრომლობით. ვმუშაობთ საზღვრის დაცვის სამსახურთან იმისთვის, რომ ქვეყანამ იცოდეს, რა შედის და რა გადის მის საზღვრებზე.

რა თქმა უნდა, ვმუშაობთ თავდაცვის ძალებთან. ცოტა ხნის წინ დავამთავრეთ ძალიან წარმატებული პროგრამა: საქართველოს მზაობის პროგრამა, რომლის მიზანიც საქართველოს თავდაცვის შეაძლებლობების გაზრდა იყო.

საქართველომ უნდა შექმნას რეპუტაცია. ნოემბერში ამერიკულმა ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდმა, „კატაპულტ ჯორჯიამ“, სილიკონის ველიდან, საქართველოში 50 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია ჩადო.

ინვესტორები ეძებენ ბაზრებს და როდესაც კომპანიები საქართველოში ჩამოდიან, მათ უნდა დაინახონ ის, რომ საქართველო ფულის ჩასადებად უსაფრთხო ქვეყანაა. აქ მთავრობას საკუთარი როლი აქვს, განსაკუთრებით, როცა საქმე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება.

მთავრობას უნდა ჰქონდეს სტრატეგიული გეგმები, რომლებსაც ინვესტორებს აჩვენებს და ეტყვის, თუ საით მიდის ქვეყანა — ამაში შედის პორტები, საგზაო ქსელი, კომუნიკაციების ქსელი. თუ საქართველოს მთავრობა ამას გააკეთებს, ვფიქრობ, უფრო მეტ, კარგ, ამერიკულ ბიზნესს მოვიზიდავთ.

— თქვენ ანაკლიის პორტზე ახლახან თქვით, რომ მისი ნახვით „გული გეტკინათ“. თქვენი აზრით, ანაკლიის პორტის შემთხვევას თუ ექნება გავლენა სამომავლო დიდი ინვესტიციებზე?

— იმედი მაქვს, რომ ანაკლია ჯერ ისევ აშენდება. როდესაც იქ ხარ, ხედები რამდენად იდეალურია ეს ადგილი და ხედავ, რომ პროექტი, კარგ პროექტად რჩება. სამწუხაროა, რომ ის ასე დაყოვნდა და აირია. ეს ჯერ ისევ, კარგი პროექტია.

ამას წინათ ფოთში ტერმინალის გახსნის დროს მითხრეს, რომ როდესაც პორტს ააშენებ, ტვირთი იქ მოდის. არ უნდა დაელოდო ჯერ ტვირთს და პორტი მერე ააშენო. უნდა არსებობდეს ხედვა, სტრატეგიული გეგმა იმის დასანახად, თუ რა არის საჭირო და შემდეგ ამის მარკეტინგი გააკეთო ინვესტორებთან. იმედი მაქვს, რომ ანაკლია განხორციელდება, შესაძლოა არა ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში, მაგრამ იმედია, რომ ამის საფუძველი ჩაიყრება.

— ეს ჩემი ბოლო კითხვაა. არის თუ არა რაიმე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ საქართველოში? არის თუ არა რაიმე ისეთი, რაც გაფიქრებინებთ, რომ ეს განსაკუთრებული ქვეყანაა? რას ფიქრობთ საქართველოზე?

— არ ვიცი, რამდენად დიდი სიურპრიზია ეს თქვენთვის, მაგრამ მე ძალიან გამაკვირვა იმან, თუ რამდენად ვგავართ ქართველები და ამერიკელები ერთმანეთს. ჩვენ ორივეს გვიყვარს ოჯახები, გვაქვს ღრმა რწმენა, ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მეგობრობას, ერთგულებას. რა თქმა უნდა, გვაქვს ჩვენი საერთო ღირებულებები, რომლებსაც ძალიან ვაფასებთ — თავისუფლების სიყვარული, დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლის სურვილი, მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა.

ამ მსგავსებების გამო, როცა საქართველოში ჩამოვედი, თავი სახლში ვიგრძენი და ძალიან მადლიერი ვარ იმ სითბოსთვის, რომლითაც ხალმა მიმიღო.

ესაუბრა
ია მეურმიშვილი

ყველა ყურძენს, რომლისგანაც ყველაზე პოპულარულ ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ღვინოებს აყენებენ, ერთი საერთო წინაპარი ჰყავს – საქართველოში მოშინაურებული ყურძენი. ამის შესახებ ლაპარაკია სამეცნიერო ჟურნალ Nature Communications-ში 2021 წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნებულ კვლევაში.

კვლევის ავტორებმა, იტალიელმა მეცნიერებმა მიკელე მორგანტემ და გაბრიელე დი გასპერომ ყურძნის 204 სახეობის გენეტიკური ანალიზი ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ადგილი ჰქონდა ერთ „მოშინაურების მოვლენას“, რომელიც 8-0 ათასი წლის წინ მოხდა სამხრეთ კავკასიაში. აქ მოშინაურებული ყურძენი კი შემდეგ ევროპაში გავრცელდა, სადაც შეჯვარდა ადგილობრივ ველურ სახეობებთან.

რადიო თავისუფლება კვლევის ერთ-ერთ ავტორს მიკელე მორგანტეს, იტალიის უდინეს უნივერსიტეტის პროფესორს დაუკავშირდა და ჰკითხა, თუ რას შეეხებოდა ეს კვლევა და რატომაა მისი შედეგები მნიშვნელოვანი.

ინტერვიუ იტალიელ მეცნიერ მიკელე მორგანტესთან

შარდონე, პინო, კაბერნე, სოვინიონი... ყველას წინაპარი ქართული ყურძენია

— ნაშრომში ახსენებთ, **რომ კვლევის მიზანი იყო, ნათელი მოგეფინათ ევროპული ღვინის წარმოშობის ისტორიისთვის, რომელთან დაკავშირებითაც დღემდე არსებობს განსხვავებული აზრი. რას გულისხმობთ? რას შეეხება აზრთა სხვადასხვაობა?**

— ზოგი ავტორი მიიჩნევდა, რომ არსებობდა ორი დამოუკიდებელი „მოშინაურების მოვლენა“. ერთს ადგილი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში, სავარაუდოდ, საქართველოში, მეორეს კი — ევროპაში. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ბევრ ამჟამინდელ ევროპულ სახეობას სწორედ ამ მეორე მოშინაურებისას ჩაეყარა საფუძველი. არსებობს მეორე მიდგომაც — რომ არსებობდა ერთი, უნიკალური „მოშინაურების მოვლენა“ და ეს კავკასიაში მოხდა.

ჩვენი მონაცემები მხარს უჭერს მეორე ჰიპოთეზას. ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ მოხდა მოშინაურების ერთადერთი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში და შემდეგ ეს ყურძენი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში. თავიდან ევროპაში სუფრის ყურძენი ჩაიტანეს, შემდეგ კი ის შეაჯვარეს ადგილობრივ ველურ ყურძენთან.

თუ დავაკვირდებით ევროპული ღვინის დღევანდელ სახეობებს, განსაკუთრებით მათ, რომლებსაც ყველაზე ხშირად ზრდიან ჩრდილოეთ იტალიასა და საფრანგეთში, ვნახავთ, რომ მათი გენომი დიდწილად შედგება თავდაპირველი კავკასიური გენომისგან, მაგრამ მას ასევე აქვს სეგმენტები, რომლებიც ევროპული ველური სახეობებისგან დაემატა.

ეს შეიძლება შევადაროთ ჩვენს ურთიერთობას ნეანდერტალელებთან. ადამიანები ევროპაში აფრიკიდან ჩავედით, შემდეგ კი გავიცანით ადგილობრივი ნეანდერტალელები, დავიწყეთ მათთან შეჯვარება და ამის კვალი ჩვენს გენომს დღემდე ამჩნევია.

— როგორ მიხვედით ამ დასკვნამდე? თუ არის შესაძლებელი, გენეტიკაში გაუთვითცნობიერებელ ადამიანსაც აუხსნათ, თუ რა სახის სამუშაოები ჩაატარეთ?

— ჩვენ გამოვიყენეთ გენომის სეკვენსირების უდიდესი ძალა. დღეს გაგვაჩნია უმძლავრესი ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ინდივიდუალური გენომების ხელახალი სეკვენსირება ძალიან სწრაფად და იაფად მოვახდინოთ.

ამ ტექნოლოგიების გამოყენებით ყურძნის ორასზე მეტი სახეობის ანალიზი ჩავატარეთ, როგორც კულტივირებულის, ისე ველური ყურძნის და შემდეგ მათი გენომები ერთმანეთს შევადარეთ. ეს სეკვენსები იმდენად უნიკალურია, რომ შესაძლებელია ცხადად დავინახოთ, თუ როდის შეუერთდა ერთი ჯგუფის გენომი მეორისას და ზუსტად დავადგინოთ, როდის მოხდა შეჯვარება.

ეს იგივე ხელსაწყოებია, რომელსაც იყენებენ ადამიანების ევოლუციური ისტორიის შესასწავლად. მათი გამოყენება ყურძნის ევოლუციის შესასწავლადაც გამოდგება.

— რას ნიშნავს მოშინაურების მოვლენა? ლაპარაკია ერთი ადამიანის მიერ უსსოვარ დროს გაწეულ სამუშაოზე თუ ეს უფრო ერთ კონკრეტულ ადგილას ადამიანთა რამდენიმე ჯგუფის ძალისხმევის შედეგია?

— ჩვენ ზუსტად არ ვიცით დეტალები, თუ როგორ მოხდა მცენარეების მოშინაურება. მაგრამ ამ შემთხვევაში შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს ერთი კონკრეტული ინდივიდის მიერ არ განხორციელებულა. ასე რომ ყოფილიყო, გენეტიკური ვარიაცია კულტივირებულ მასალაში ძალიან შეზღუდული იქნებოდა.

საქართველოში, ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის პატარა ქანდაკება (თამადა), რომელსაც ხელში ყანწი უჭირავს. ქანდაკება დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნით.

არსებობს სახეობები, სადაც სწორედ ასე მოხდა, მაგალითად, ყავის, Coffea arabica-ს შემთხვევაში ყველა ამჟამინდელი კულტივირებული მასალა მოდის ერთი კონკრეტული ინდივიდისგან, რომელიც დაახლოებით 10 ათასი წლის წინ მოაშინაურეს.

თუმცა, სხვა შემთხვევების უმეტესობაში, ალბათ მოხდა სელექცია ადამიანების სხვადასხვა ჯგუფის მიერ, რომლებმაც აარჩიეს ინდივიდუალური ნაყოფები სასურველი მახასიათებლებით. ვაზის შემთხვევაში ეს იქნებოდა უფრო მსხვილი მტევნები, შაქრის მაღალი შემცველობა, ჰერმაფროდიტიზმი, რადგან ველურ ყურძენს განსხვავებული სქესები აქვთ, კულტივირებული სახეობები კი ჰერმაფროდიტულია...

ამ სასურველმა მახასიათებლებმა შემდეგ ერთად მოიყარა თავი. ჯერ დანამდვილებით არ ვიცით, ეს შემთხვევით მოხდა თუ ადამიანების ჩარევით, თუმცა ძალიან სავარაუდოა, რომ ეს სწორედ ადამიანების ძალისხმევის შედეგია.

მაგრამ, ეს არ არის მოვლენა, რომელიც ასე, ერთ დღეში მოხდა. ამას ალბათ საუკუნეები დასჭირდა. ამასობაში კი, მცენარეები, რომლებიც სასურველი მახასიათებლების გამო შეარჩიეს, აგრძელებდნენ შეჯვარებას თავიანთ ველურ წინაპართან. ეს უფრო კომპლექსური მოდელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

— დაახლოებით როდის მიმდინარეობდა ეს პროცესი? ვგულისხმობ ჯერ ყურძნის თავდაპირველ მოშინაურებას, შემდეგ კი მის გავრცელებას ევროპაში.

— ამის დასადგენად გენეტიკურ ინფორმაციას არქეოლოგიურ მასალას ვადარებთ. მოშინაურებული ყურძენი, სავარაუდოდ, 8-10 ათასი წლისაა. მცენარეების უმეტესობის მოშინაურება დაახლოებით ერთდროულად მოხდა — სოფლის მეურნეობის გავრცელებასა და ადამიანების სოციალური სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად.

ევროპაში ის ალბათ 3 ათასი წლის წინათ გავრცელდა. როდის მოხდა შეჯვარება, ჯერ ვერ დავადგინეთ — შეიძლება 3 ათასი წლის წინათ, შეიძლება — გაცილებით გვიანაც.

კვლევისას ასევე აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე ჯიშის ყურძენი, რომლებსაც დღესაც ზრდიან იტალიაშიც და საფრანგეთშიც — კულტივირებული და ველური ყურძნის შეჯვარების პირდაპირი შედეგია. ეს კი საინტერესო აღმოჩენაა, რადგან გვაჩვენებს, რომ დღესაც შესაძლებელია შეჯვარებისთვის ველური ყურძნის მოძიება ისე, რომ ღვინის ხარისხი არ დაეცეს. ეს კი შეიძლება დაგვეხმაროს ისეთი პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა, მაგალითად, რომელიმე სპეციფიკურ დაავადებასთან ბრძოლა, რომელიც ემართება კულტივირებულ ყურძენს, მაგრამ არა — ველურ სახეობას. ანუ, შესაძლებელია გამოვიყვანოთ ისეთი ჯიშები, რომლებიც უფრო გამძლე იქნება ამ კონკრეტული დაავადების მიმართ და, ამავე დროს, მაღალი ხარისხის ღვინოს მოგვცემს.

— რატომ ჩათვალეთ მნიშვნელოვნად ამ კვლევის ჩატარება? ეს უბრალო აკადემიური ცნობისმოყვარეობაა თუ ამ ინფორმაციას პრაქტიკული გამოყენებაც აქვს?

— პირველ რიგში, ყურძენმა უდიდესი კულტურული და ეკონომიკური როლი ითამაშა და ევროპის ცხოვრებაში დღესაც თამაშობს. თავისთავად ეს უკვე საკმარისი მიზეზია, რომ ვცადოთ იმის დადგენა, როგორ მივიღეთ ამჟამინდელი სახეობები.

თუმცა, ამას დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. ეს ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, მომავალში ღვინის ახალი სახეობების მიღება ვცადოთ, რომლებსაც ან საინტერესო გემოვნებითი მახასიათებლები ექნება, ან უკეთ იქნება ადაპტირებული კლიმატურ პირობებთან. ევროპას მოუწევს თვალი გაუსწოროს, რომ კლიმატი იცვლება და ამან შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ყურძნის დღევანდელ ჯიშებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დავადგინოთ კლიმატურ ცვლილებასთან ადაპტაციისთვის სასარგებლო გენეტიკური ვარიაციები.

— რა არის შემდეგი საკვლევი ნაბიჯი? რა არის, რაც ამ კუთხით ჯერ არ ვიცით და რისი ცოდნაც სასარგებლო იქნება?

— დღეს არ ვიცით, თუ ზუსტად რომელი გენებია მნიშვნელოვანი ხარისხიანი ღვინის მისაღებად, ამის დადგენა კი ყველა მომავალ სელექციას და შეჯვარების პროგრამას გაცილებით ეფექტიანს გახდის. ამჟამად, ღვინის ახალი სახეობის გამოყვანა ძვირიანი, ხანგრძლივი და რთული პროცესია — სელექცია ძალიან ნელა მიმდინარეობს, რადგან ღვინოს ნორმალურისგან ძალიან განსხვავებული მეთოდითა და მასშტაბით აყენებენ.

ამის ნაცვლად, თავიდანვე რომ ვიცოდეთ, თუ ზუსტად რა გენები უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურ სახეობას კარგი ღვინის დასაყენებლად, შემდეგი სელექციის პროცესი გაცილებით სწრაფი იქნებოდა.

ნიკო ნერგაძე

ნეოლითის დროინდელი ეს თიხის ჭურჭელი, სავარაუდოდ, ქვევრი, ღვინის ქვასს ატარებს. დაახლოებით 8 ათასი წლის ჭურჭელი ქვემო ქართლში, სოფ. შულავერთან მდებარე ხრამის დიდ გორაზე არქეოლოგიური კვლევისას აღმოაჩინეს და ის ყურძნის ღვინის ჯერჯერობით მსოფლიოში უძველესი კვალია.

◎ ხუთი რგოლი

ჯერ არნახული, არგაგონილი

სარეკორდო რაოდენობით – ცხრა სპორტსმენით ჩაება საქართველოს დელეგაცია მისთვის ზედიზედ მერვე ზამთრის ოლიმპიადაში, რომელსაც ჩინეთის დედაქალაქი მასპინძლობს.

პეკინის 24-ე თამაშებში მედლები სულ 15 სახეობაში გათამაშდება, რომელთაგანაც სამში „ჯვაროსნებიც“ ასპარეზობენ, მათი მედროშეები კი თეთრი ფორუმის გახსნის ცერემონიალზე მოთხილამურე **ნინო წიკლაური** (იგი მეოთხედ გახლავთ ოლიმპიელი) და ფიგურისტი **მორის ყვითელაშვილი** (ზედიზედ მეორედ) იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ცისქვეშეთში საქართველოს წარგზავნილთაგან უმეტესობა ფიგურულ სრიალში გამოდის – 6 და რაც არანაკლებ საგულისხმოა, ისტორიაში პირველად ისინი ოთხივე კატეგორიაში ცდიან ძალებს, რამაც ავტომატურად გუნდური ტურნირის 10 რჩეული ნაკრების დავაში მოგვცა მაქსიმუმ მედლებისთვის და მინიმუმ ფინალურ ხუთეულში გასასვლელად ბრძოლის საშუალება. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით სასაყვედურო არაფერი გვაქვს, რაშიც სასტარტო დღეს მოკლე პროგრამით სრიალის შემდეგ შექმნილი ვითარებაც დაგარწმუნებთ:

ვაჟები – მორის ყვითელაშვილი – მეოთხე ადგილი;

წყვილები – კარინა საფინა, ლაშა ბერულავა – მეექვსე ადგილი;

ყინულზე ცეკვა – მარია კაზაკოვა, გიორგი რევია – მერვე ადგილი.

ასე რომ, ანასტასია გუბანოვას დებიუტამდე ჩვენი გუნდი მე-7 პოზიციას იკავებდა და თავისუფალი პროგრამით სრიალის შანსს ინარჩუნებდა. მართალია, ჩვენმა იმედმა შესანიშნავად იასპარეზა და მეოთხე შედეგი აჩვენა, მაგრამ სანუკვარ ხუთეულში მოსახვედრად მცირედი დაგვაკლდა და მეექვსე ადგილი დავიკავეთ.

გაუწყებთ აგრეთვე, რომ ხვალ დაიწყება და 19 თებერვალს დასრულდება ინდივიდუალური ტურნირი, სადაც მედლების 4 კომპლექტი გათამაშდება. გუშინწინ და გუშინ ოლიმპიურ ტრასაზე მოციგავე **საბა ქუმარიტაშვილი** დაეშვა...

◎ 3 წლის შემდეგ

კვლავაც აფასებენ

სამსაჯო უფლებამოსილების სამწლიანი შეჩერების შემდეგ საყვარელ საქმეს დაუბრუნდნენ ქართველი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები – **ზაზა მჭედლიძე** და **დავით სახვაძე**, რომლებმაც, შესაბამისად, ბულგარულ პლოვდივში გამართულ მოხმალავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპზე და ყატარის დედაქალაქ დოჰაში მოწყობილ დაშნით მოფარიკავეთა გრან-პრიზე გაიხსენეს პროფესიული მოწოდების გემო.

მათ ფორსმაჟორულ ვითარებაში შეძლეს ურთულესი გამოცდის წარმატებით ჩაბარება: კოვიდპანდემიის გამო უშუალოდ სტარტის წინ აღნიშნულ ტურნირებს ოთხ-ოთხი რეფერი გამოაკლდა და ვინაიდან დავირუსებულთა შეცვლა ვეღარ ესწრებოდა, მათი ფუნქციები დანარჩენებმა გადაინაწილეს.

საბოლოოდ მჭედლიძე სამ დღეში 30-მდე შეხვედრას გაუძღვა, მათ შორის ნახევარფინალებსა და ბრძოლას ბრინჯაოს მედლისთვის, ხოლო მისი ასევე თბილისელი კოლეგა – ოცზე მეტ მატჩს ვაჟთა ერთ-ერთი ნახევარფინალის ჩათვლით, სატიტულო დუელში კი ვიდეორეფერის მისია ანდეს.

ამ დღეებში სახვაძე კიევში იუნიორთა მსოფლიოს თასის ეტაპზეა მიწვეული უკრაინელ მუშკეტერთა ფედერაციის მიერ, ხოლო ბატონი ზაზა მსგავს ასპარეზობას პლოვდივშივე ემსახურება.

◎ რატომაც არა?..

ვფიქრობთ, ღირსია

ჯაბა კანკავას ჯერაც არ შეხორცებია რამდენიმე თვის წინათ დედის დაკარგვით გაჩენილი მოუშუშებელი იარა, ამიტომ სავსებით შესაძლებელია სანაკრებო კარიერის დასრულება ფსიქოლოგიურმა სტრესმა დააჩქარებინა.

ვეთანხმებით თუ არა, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და პატივიც უნდა ვცეთ, მით უმეტეს საუბარია „ჯვაროსანთა“ გამორჩეულ კაპიტანთაგანზე, კარიერას დამოუკიდებელი სამშობლოს მთავარი გუნდის მაისურით გამართული 100 მატჩი რომ უმშვენებს სფფ-ის თავკაცს **ლევან კობიაშვილის** მსგავსად.

დაგვეთანხმებით, ქართული ფეხბურთიდან ბევრი წასულა გულნატკენი, მადლიერებით აღვსილი ერთი სტრიქონიც რომ არ ღირსებია – დაწყებული საკავშირო ჩემპიონატებიდან და, სამწუხაროდ, გაგრძელებული ჯერ შინდისფერი, ხოლო შემდეგ ხუთჯვრიანი ეროვნული დროშის ფრიალის პათეტიკური პერიოდის წლებში, ამიტომ, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, დაიმსხვრეს აღნიშნული უმადურობით დამუხტული ტრადიცია და, ისევე, როგორც კახი კალაძეს, მის ღირსეულ მემკვიდრესაც ვაჩუქოთ თუნდაც ნაკლებად მასშტაბური, კოვიდრეგულაციების სრული დაცვით მოსაწყობი დაუვიწყარი საღამო, რომელიც მცირედით მაინც დაუამებს წერილის დასაწყისში ნახსენებ დაუმსახურებელ ტკივილს და, ვინ იცის, იქნებ დასახელებული გადაწყვეტილებაც შეაცვლევინოს – სპორტის ისტორიას ხომ არაერთი მსგავსი მაგალითი ახსოვს.

დიახ, საბჭოთა ეპოქის დიდ კაპიტანთა უმრავლესობაზე რომ არაფერი ვთქვათ, რა დაეშავეს **კახა ცხადაძემ** ან **გიორგი ნემსაძემ** ისეთი, რომ სანუკვარი სამკლავურის მომავალ კოლეგათათვის საზეიმოდ გადაუცემლად დაემშვიდობნენ ისე-დაც ხანმოკლე კარიერის მარადიულ ღირებულებას, საქართველოს ეროვნული ნაკრები რომ ჰქვია? არაფერი – პირიქით, თუ სიმართლე გნებავთ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო – ხომ გახსოვთ?

ჰოდა, ამ სიმბოლური, მაგრამ უზარმაზარი დატვირთვის მქონე ნაბიჯის გადადგმა, სათანადო ნების შემთხვევაში, უახლოეს მომავალშიც შეიძლება.

გული გულობდეს და...

მოკლედ

ფუტსალი. ევროპის ჩემპიონატი. **ნახევარფინალი.** რუსეთი – უკრაინა 3:2, პორტუგალია – ესპანეთი 3:2.

ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონშიფი. „ჰალი“ – „პრესტონი“ 0:1. **აფრიკის ეროვნებათა თასი. ნახევარფინალი.** სენეგალი – ბურკინა ფასო 3:1. ეგვიპტე – კამერუნი 3:1 (პენალტებით. ძირითადი და დამატებითი დრო – 0:0). **მატჩი მესამე ადგილისთვის.** კამერუნი-ბურკინა ფასო 5:3 (პენალტებით. ძირითადი და დამატებითი დრო – 3:3).

რაგბი ევროპა. საქართველო-პორტუგალია 25:25.

ძიუდო. პარიზის გრანდ სლემი. „ოქრო“ – ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ); **„ბრინჯაო“** – ჯაბა პაპინაშვილი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ).

◎ ნომინანტები

სჯობს გვიან...

მართალია, 2021 წელი უკვე თვეზე მეტია, რაც გავაცილეთ, მაგრამ LAUREUS-ის პრესტიჟულმა სპორტულმა აკადემიამ განვლილი სეზონის ტრადიციულ კატეგორიათა ნომინანტები ამ დღეებში დაასახელა, ლაურეატებს კი გაზაფხულზე გამოავლენს.

რჩეულთა უმეტესობისთვის მსგავსი პატივი ალალია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვხვდებით ისეთ კანდიდატურებსაც, რომელთა აღიარებაც, რბილად რომ ვთქვათ, სადავოა.

საუკეთესო მამაკაცი: ჯოკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი), დრესელი (აშშ, ცურვა), კიპჩოგე (კენია, მძლეოსნობა), ფერსტაპენი (ნიდერლანდები, ფორმულა-1), ლევანდოვსკი (პოლონეთი, ფეხბურთი), ბრეიდი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი).

საუკეთესო ქალი: პუტელიასი (ესპანეთი, ფეხბურთი), ფელიქსი (აშშ, მძლეოსნობა), ტომპსონი (იამაიკა, მძლეოსნობა), ბარტი (ავსტრალია, ჩოგბურთი), მაკეონი (ავსტრალია, ცურვა), ლედეკი (აშშ, ცურვა);

საუკეთესო გუნდი: ბარსელონა (ფეხბურთი, ქალები), მერსედესი (ფორმულა-1), არგენტინის ნაკრები (ფეხბურთი), მილუოკი ბაქსი (კალათბურთი, ნბა), ჩინეთის ნაკრები (წყალში ხტომა), იტალიის ნაკრები (ფეხბურთი);

წლის გარღვევა: მედვედევი (რუსეთი, ჩოგბურთი), რადუკანუ (დიდი ბრიტანეთი, ჩოგბურთი), ტიტმუსი (ავსტრალია, ცურვა), ჩოპრა (ინდოეთი, მძლეოსნობა), პედრი (ესპანეთი, ფეხბურთი), როხასი (ვენესუელა, მძლეოსნობა).

რა დარღვევები აღმოაჩინეს ეროვნულ მუზეუმში?!

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ეროვნული მუზეუმის საქმიანობის შესახებ 4 თებერვალს გამოქვეყნებული დასკვნის შესახებ განცხადებას ავრცელებს

„გეგმიური აუდიტორული შემოწმება მუზეუმის 2018-2020 წლების საქმიანობის პერიოდს მოიცავს. როგორც 2016 წელს ჩატარებული შიდა აუდიტისა (მოიცავს 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2013 წელს ჩატარებული აუდიტის (მოიცავს 2011 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს) დასკვნები, მიმდინარე წლის 4 თებერვლის დასკვნაშიც მძიმე დარღვევებზეა საუბარი. დასკვნა ნათლად აჩვენებს, რომ კულტურის სამინისტროს მიერ 2021 წლის აპრილიდან განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც, სხვებს შორის, მიზნად ისახავს ეროვნულ მუზეუმში საკადრო ცვლილებებს, სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ექსპონატების პასპორტიზაციასა და ინვენტარიზაციას, ექსპონატების მოძიებასა და მუზეუმში დაბრუნებას, შენობების რემონტსა და რეკონსტრუქციას, კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას, არის გამართლებული და აუცილებელი და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს“, — აღნიშნულია კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განცხადებაში.

4 თებერვალს გამოქვეყნებული აუდიტის ანგარიშის თანახმად:

— ეროვნულ მუზეუმში კვლავ არ იყო დასრულებული ფონდების აღრიცხვა-შეჯერების პროცესი;

— დარღვეული იყო სამუზეუმო ექსპონატების დროებით გამოფენაზე გატანის ვადები;

— მუზეუმის ზოგიერთი ფონდი საერთოდ არ აწარმოებდა ექსპონატების აღრიცხვის საინვენტარო წიგნებს, ხოლო ზოგიერთი აღნიშნულ წიგნებს აწარმოებდა არასრულყოფილად. კერძოდ, წიგნებში არ იყო შეტანილი საინვენტარო ნომრები, რის გამოც შეუძლებელი ხდებოდა კონკრეტული ექსპონატის იდენტიფიცირება;

— რიგ შემთხვევაში, სამუზეუმო ექსპონატები განთავსებული იყო არასათანადო პირობებში (სხვენი, სარდაფი). ზოგიერთი ფონდსაცავი არ იყო აღჭურვილი სათანადო ვენტილაცია-კონდიცირების სისტემით, რაც ქმნიდა ექსპონატების დაზიანების რისკს.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ:

— ეროვნულ მუზეუმში არ არსებობს ექსპონატების აღრიცხვის ერთიანი საინფორმაციო ბაზა;

— ეროვნულ მუზეუმში არ არის დასრულებული ექსპონატების აღრიცხვა-შეჯერების პროცესი. შესაბამისად, ვერ ხერხდება შედეგების, დანაკლისის/ზედმეტობის დადგენა. აღრიცხვა-შეჯერების პროცესის დასრულებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ეროვნული მუზეუმის შექმნიდან და შემდგომ პერიოდებში შემოერთებული მუზეუმებიდან არ მომხდარა ფონდების და, შესაბამისად, ექსპონატების ოფიციალურად გადაბარება.

— ეროვნული მუზეუმიდან დროებით, სხვადასხვა საგამოფენო სივრცეებში გატანილი 944 ექსპონატიდან დაბრუნდა — 584, ვადა გაუგრძელდა 360 ერთეულს, აქედან, 321-ს ვადა გაუგრძელდა ორჯერ, თითო წლით. მათ შორის, ქვეყნის გარეთ გატანილია 722 ექსპონატი, დაბრუნებულია 426, ხოლო ვადა გაუგრძელდა 296-ს.

— ეროვნულ მუზეუმში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამუზეუმო ფასეულობების დაცვის პირობებისა და აღრიცხვის შესაბამისობას მოქმედ რეგულაციებთან. აღნიშნული ზრდის თაღლითობის, ექსპონატების ფიზიკური დაზიანებისა და მათ არსებობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ანგარიშში საუბარია საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზეც და რამდენიმე ფაქტი არის ასახული.

მათ შორის, აღნიშნულია, რომ შესამოწმებელ პერიოდში მოქმედებდა წინა წლებში გაფორმებული 16 საიჯარო ხელშეკრულება. იჯარის საგანია 3245,7 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და 685 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 7 შემთხვევაში 18 საიჯარო ფართებზე კომუნალური ხარჯების აღრიცხვისა და გადახდის ვალდებულება მოიჯარის მიერ არ შესრულებულა და ანაზღაურება განხორციელებულია ეროვნული მუზეუმის მიერ. 2018 წლის 1-ელი იანვრის მდგომარეობით, მოიჯარეებზე ირიცხებოდა 32 915 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაიზარდა 346 245 ლარით და შეადგინა 379 160 ლარი (აქედან, 241 083 ლარი — ძირითადი თანხა, 138 077 ლარი — საურავი). ამ თანხის დიდი ნაწილი ექვემდებარება ჩამოწერას. ანგარიშში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მუზეუმის მიერ იჯარით გაცემულ ფართებზე გაწეული კომუნალური ხარჯების ანაზღაურება არის საჯარო სახსრების არამიზნობრივი და არამართლზომიერი ხარჯვა.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ შესაბამისი დასაბუთების გარეშე, დადგენილი ტარიფებისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა იწვევს შემოსავლების შემცირებას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ფართით მოსარგებლეებს, რის გამოც საანგარიშო პერიოდში მუზეუმმა დაკარგა 90 750 ლარიდან 148 250 ლარამდე შემოსავლის მიღების პოტენციალი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწეს, მაგდანა გურგულიანს გარდაეცვალა დედა

დალი კვანჭიანი-გურგულიანი

და თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს.

მისამართი: ემირ ბურჯანაძის ქ. № 6ა, მე-2 სად; I სართ; ბინა 26; გამოსვენება: 8 თებერვალს, 15 საათზე, (სიონის საკათედრო ტაძრიდან).

სანთელი

თემურ მირიანაშვილი



ამ დღეებში, ჭირისუფლებმა მიწას მიაბარეს თემურ მირიანაშვილი — თავისი პირდაპირობით და უკომპრომისობით გამორჩეული პუბლიცისტი, მწერალი, მოღვაწე. მასთან ჩემი ნაცნობობისა და მეგობრობის დაწყებიდან ზუსტად 20 წელი გავიდა...

თემურ მირიანაშვილი საკმაოდ უნივერსალური ინტერესებისა და შესაძლებლობების მქონე პიროვნება გახლდათ, რომლის პოლიტიკური ალღო, პუბლიცისტიკაში წარმოდგენილი მსჯელობა, რკინისებური ლოგიკით, მყარ ფაქტებზე დაყრდნობით და აკადემიურობით გამოირჩეოდა. სწორედ ეს რკინისებური ლოგიკა კარნახობდა მას, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდებოდა საუკეთესო ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან. რუსეთთან კეთილმეზობლობაზე აგებულ საგარეო პოლიტიკას ურჩევდა თემურ მირიანაშვილი პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომლის ერთ-ერთი მრჩეველი თვითონ იყო.

1990-იან წლებში თემურ მირიანაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლების დელეგაციის შემადგენლობაში, შეხვდა იმჟამინდელ რუსულ პოლიტიკურ ელიტას; დიალოგი ძალიან შედეგიანი გამოდგა. რუსულ ვექტორზე ყურადღებას ბატონი თემური იმ პერიოდში, თავის მიერვე დაარსებულ გაზეთ „მთაწმინდაში“ გამოხატავდა. ამ გაზეთში შესანიშნავი მასალები იბეჭდებოდა თვით მთავარი რედაქტორის, თემურ მირიანაშვილის ავტორობით. პირადად მე, ძალიან ახალგაზრდა კაცი, გაზეთის ყველა ნომერს ვეცნობოდი და მირიანაშვილის პუბლიკაციებმა ჩემზე არა მხოლოდ ხანმოკლე (თუნდაც ნათელი) შთაბეჭდილება, არამედ გარკვეული მსოფლმხედველობრივი გავლენაც მოახდინა.

ძალიან განიცადიდა ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის დამკვიდრება. პირველი ინსულტი სწორედ მაშინ, 2004 წელს დაემართა! არადა, თვით სააკაშვილს უზუსტესი დიაგნოზი დაუსვა ბატონმა თემურმა, რის წყალობითაც მას საქართველოში დღესაც ძალიან ბევრი ადამიანი იხსენებს.

ძალიან უხაროდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დღე, რომელიც თავის დაბადების დღეს, 1-ელ ოქტომბერს, დაემთხვა. მართალია, შემდგომმა ხანამ გვაჩვენა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ფორმალური დამარცხება ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანდა, მაგრამ უამრავმა ადამიანმა შვებით ამოისუნთქა რუსეთთან მიმოსვლისა და ვაჭრობის განახლების შედეგად, რაშიც ბატონი თემურის თავგანწირული ბრძოლის წილიც არის.

არაერთ პატივცემულ ადამიანს დავურეკე სამწუხარო ცნობით, საერთო ნაცნობის, კოლეგისა თუ მეგობრის დაკარგვის გამო — ყველა მათგანს უაღრესად დასწყვიტა გული თემურ მირიანაშვილის გარდაცვალებამ.

გულბაათ რცხილაძე

ძლიერი შტორმის გამო, ბათუმის ახალი ბულვარი განადგურდა!

ორდღიანი უამინდობის გამო ბათუმში ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებულია სანაპირო ზოლი, ჩამოშლილია სავალი გზის ნაწილი, წაღებულია განათების ბოძები, ახალ ბულვარში 600-მეტრიან ზოლზე აღარ არის ნაპირი.

ტერიტორია წითელი ლენტით არის შემოსაზღვრული, რაც ნიშნავს, რომ ახალ ბულვარში გადასვლა აკრძალულია. მალე ზარალის დამთვლელი კომისია შეიქმნება და აღდგენითი სამუშაოები დაიწყება.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყურადღება!

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს თამარ ჩაფიძის მიერ (სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე; ქ. ქუთაისი, ირ, აბაშიძის გამზ №7/25), მიმდინარეობს 14,01,2008 წელს გარდაცვლილი ნათელა ამბროლაძის (პ/ნ 21001020683) სამკვიდრო საქმის წარმოება, მემკვიდრეები ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოცხადდით აღნიშნულ სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი
თამარ ჩაფიძე

კრავიჭამია ბატკანძერს ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა

რამდენიმე დღის წინ, მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში, მოქალაქემ დასუსტებული ბატკანძერი იპოვა, რომელსაც ფრენა არ შეეძლო. მან თბილისის ზოოპარკს მიმართა, რის შემდეგაც ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აცნობეს. ზედამხედველობის თანამშრომლებმა ფრინველი თბილისის ზოოპარკში გადაიყვანეს.

„ზოოპარკში მიყვანის პირველი დღეების შემდეგ, ფრინველი დამშვიდდა და მისთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარება ნაკლებად სტრესული და სახიფათო გახდა, ზოოპარკის თანამშრომლებსა და ჩვენი გუნდის სხვა წევრებთან ერთად, ვეწვიეთ ვეტერინარულ კლინიკას „ვეტექსი“. აღმოჩნდა, რომ ბატკანძერს გადაყლაპული ჰქონდა საკანცელარიო დანა, რის გამოც, საჭირო გახდა საკმაოდ რთული და ამბიციური ოპერაციის ჩატარება, რომელსაც ვეტექსის გუნდი საოცარი გამოცდილებით გაუმკლავდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ვიმედოვნებთ, ფრინველი სარეაბილიტაციო კურსსაც წარმატებით გაივლის და სრულიად გამოჯანმრთელებული დაუბრუნდება ველურ ბუნებას. ამ საქმეზე კი თბილისის ზოოპარკი და მისი თანამშრომლები იზრუნებენ. გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯებს მთლიანად დაფარავს ჩვენი ორგანიზაცია – ბუნების კონსერვაცია საქართველო“. გახსოვდეთ, რომ ყველა გაყიდვიდან თუ შემოწირულობიდან შემოსული თანხა ყოველთვის ხმარდება და მოხმარდება ველურ სახეობათა კონსერვაციასა და საგანმანათლებლო საქმიანობებს“, – აცხადებენ ორგანიზაციაში – „ბუნების კონსერვაცია საქართველო“. ბატკანძერს გლობალურად საფრთხესთან მიახლოებულის (Near threatened) სტატუსი აქვს.

სელფის მოყვარული თუთიყუში

ახალ ზელანდიაში **თუთიყუშმა ტურისტებს მობილური ტელეფონი წაართვა და საკუთარი ფრენა გადაიღო. ოჯახმა, რომელიც ფიორდლენდის ეროვნულ პარკში შვებულების გასატარებლად ჩავიდა, გამოქვეყნა ვიდეო, რომლის თანაავტორიც ადგილობრივი თუთიყუშია.**

თუთიყუშმა ტურისტებს GoPro კამერა წაართვა და საკუთარი ფრენა გადაიღო.

კაცის ეგა ყოფილა...

ტაილანდელი **მამაკაცი, რომელსაც რვა ცოლი ჰყავს, მსოფლიოს ბედნიერი თანაცხოვრების საიდუმლოს უმხელს. ის ქორწინებაზე საკუთარ შეხედულებებზეც საუბრობს**

ონგ დამ სოროტი მხატვარი და სვირინგების სპეციალისტია. ის პირველ ცოლს მეგობრის ქორწილში შეხვდა. მან ქალს ხელი

მალევე სთხოვა და ისინი დაქორწინდნენ. მალევე ის კიდევ ერთ მომხიბვლელ ქალს შეხვდა და მისი გაცნობა მოუნდა. მალევე ტაილანდელ მამაკაცს, ახალი ნაცნობის ცოლად მოყვანა მოუნდა და ეს საკითხი პირველ ცოლთან განიხილა, პირველი ცოლი იმ პირობით დათანხმდა, რომ ახალ ნაცნობს სახლში მიიყვანდა მის გასაცნობად. შედეგად ქალებს ერთმანეთი მოეწონათ და მხატვარმა კიდევ ერთი ქორწილი გადაიხადა.

მესამე ცოლი საავადმყოფოში გაიცნო. სადაც სამი, იქაც ექვსიო იფიქრა ტაილანდელმა და კიდევ სამი ცოლი მოიყვანა, ეს უკანასკნელები ინტერნეტის საშუალებით აღმოაჩინა. მეშვიდე ცოლს ტაძარში შეხვდა, მერვე კი ოთხ ცოლთან ერთად შვებულების გატარებისას გაიცნო. კაცს ერთი შვილი ჰყავს პირველი ცოლისგან და კიდევ ორი ცოლი ფეხმძიმედაა. ცოლები ოთხ ოთახში ცხოვრობენ, ორნი თითო ოთახში. მათ ქმრის საძინებელში დროის გატარების გრაფიკი აქვთ, რომელიც მათ ერთად შეადგინეს.

ვინ იქნება მომავალი დედოფალი?

ბუკინგემის **სასახლემ დედოფალ ელისაბედ მეორის წერილი გამოაქვეყნა.** ის მოსახლეობას მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის და ამხელს, თუ ვის ისურვებდა გაერთიანებული სამეფოს მომდევნო დედოფლად.

„მუდამ მადლობელი ვარ იმ ერთგულებისა და სიყვარულისთვის, რომელსაც ჩემ მიმართ ავლენთ. როდესაც ჩემი ვაჟი ჩარლზი გახდება მეფე, ვიცი, რომ მისი და მისი მეუღლის, კამილას მიმართ იმავე მხარდაჭერას გამოავლენთ. ჩემი გულწრფელი სურვილია, რომ როცა ეს დრო მოვა, კამილა ცნობილი იყოს როგორც დედოფალი კონსორტი, რადგან ის განაგრძობს საკუთარ ერთგულ მსახურებას“, – აღნიშნულია ელისაბედ მეორის წერილში.

პრინცი ჩარლზი ელისაბედ მეორის უფროსი ვაჟია, რომელმაც მის შემდეგ უნდა დაიკავოს ტახტი. მის გარდა, დედოფალს კიდევ სამი შვილი ჰყავს – პრინცესა ანა, პრინცი ედვარდი და პრინცი ენდრიუ. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა სიაში რიგით მეორეა ჩალზის ვაჟი – პრინცი უილიამი. მისმა უმცროსმა ძმამ, პრინცმა ჰარიმ სამეფო ოჯახის წარმომადგენლობაზე უარი 2020 წელს თქვა და აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად.

მისი უდიდებულესობა რაგბის მოედანზე

კემბრიჯის **ჰერცოგინია, ქით მიდლტონი ტვიკენჰემის სტადიონს ესტუმრა და, სპორტსმენებთან ერთად, რაგბიც ითამაშა.**

40 წლის მიდლტონმა ამით რაგბის კავშირისა და სარაგბო ლიგის სამეფო მფარველის სტატუსის მიღება აღნიშნა.

„მისი უდიდებულესობა შეხვდა მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ასევე, ისაუბრეს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც შემოდგომაზე ახალ ზელანდიაში უნდა ჩატარდეს“, – აღნიშნულია სამეფო ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კორონავირუსმა „ინდოელი ბულბული“ იმსხვერპლა

ინდური **კინოს ცნობილი ხმა – მომღერალი და კომპოზიტორი ლატა მანგეშკარი 92 წლისა გარდაიცვალა. კორონავირუსით გამოწვეული გართულებების გამო, ის გასული კვირის სამშაბათს, მუმბაის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობდა.**

მანგეშკარი ბოლივუდის „ოქროს ხანად“ წოდებული 1950-1970-იანი წლების სიმბოლოდ მიიჩნევა. მას ინდოეთის ბულბულად და მელოდიის დედოფლად მოიხსენიებდნენ.

მისი ხმა ჟღერდა ინდურ ფულმეებში – „მაწანწალა“ (Awara -1951), „ბატონი 420“ (Shri 420 – 1955), „ბობი“ (Bobby – 1973), „შურისძიება და კანონი“ (Sholay – 1975)...

1974 წელს მანგეშკარი გინესის რეკორდების წიგნში აღმოჩნდა და აღიარეს ერთადერთ მომღერლად, რომელსაც 25 ათასზე მეტი სოლო, დუეტი და საგუნდო შესრულება ჰქონდა ჩაწერილი.

სპილბერგის ფილმში ლინჩი ითამაშებს

ამერიკელი **რეჟისორი დევიდ ლინჩი თავისი კოლეგის, სტივენ სპილბერგის ახალ ფილმში ითამაშებს. ფილმი „ფაბელმანები“ (The Fabelmans) ლინჩისა და სპილბერგის პირველი ერთობლივი ნამუშევარი იქნება.**

რომელ პერსონაჟს განასახიერებს ლინჩი, ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება სტივენ სპილბერგის მიერ დაწერილ სცენარს, ცნობილია, რომ ის ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულია. ლინჩის გარდა, ფილმში ასევე ითამაშებენ მიშელ უილიამსი და სეტ როგენი. „ფაბელმანების“ პრემიერა 2022 წლის ნოემბერში იგეგმება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9867; ევრო - 3.4248;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0488;
100 რუბლი - 3.9367; თურქული ლირა - 0.2274;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7541;
1000 სომხური დრამი - 6.1939.

ამინდი 3 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-4,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე +5
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-1,	დღე +11
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე +7
თბილისი:	ღამე	-1,	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge